საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 დეკემბერი, 2013 წელი.

№234 (7362)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

რაც ეწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას – ქართველი ხალხი არ მიიღებს

პატრიარქის განცხადებით, გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალია, თუმცა, აქედან უნდა მივიღოთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ დღეს მსოფლიოში ისეთი მოვლენები ვითარდება, რომელიც არ ყოფილა მთელი ისტორიის განმავლობაში, ომები, მრავალი ხალხის მღელვარება, ისეთი საკითხების განხილვა ხდება, რომელიც არ დამდგარა წარსულში.

— ეს უარყოფითი მოვლენები ადამიანს დააკნინებს, ეს არის ერთსქესიანთა ქორწინება, რომელიც იმდენად მძიმე ცოდვაა, რომ ამის ხსენება ეკლესიაში არ შეიძლება. დიდება და მადლობა უფალს, რომ ჩვენი ერი, ხალხი გრძნობს ამ ცოდვას. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ვითარდება მსოფლიოში, არ შეიძლება ჩვენ შევაჩეროთ, ეს გარდაუვალი პროცესია, მაგრამ აქედან ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა, რაც ეწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას — ქართველი ხალხი არ მიიღებს. შემთხვევით არ არის ნათქვამი იოანე ზოსიმეს მიერ: „ამით ენით, ქართულითა ენითა განიკითხება მსოფლიო“, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

იხ. 2 გვ.

გილოცავთ, აღიარებას!

არ დაჰკლებია საქართველოს სახალხო მწერლები, არ დაჰკლებია რუსთაველის ქვეყანას სახალხო პოეტები... მაინც „ოფიციალური“ სახე მისცეს ქართველებმა ამ თაობებიდან გადმოცემულ მემკვიდრეობას და ჩვენი — „სახალხო მწერალი“, ჩვენი „სახალხო პოეტი“... დააწესეს, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ველარ დაამკვიდრეს. მე, მაგალითად, მახსოვს, სახალხო მწერალი დიდი დავით კლდიაშვილი, პოეტები უფრო მეტი მახსოვს... თქვენც გახსოვთ... მერე შეწყდა ეს „ოფიციალური მინიჭებები“, შევურიგდით დროის ავად მდინარებას... და, რა კარგია, რომ 2013 წლის 30 ნოემბრიდან საქართველოს მწერალთა კავშირს აღუდგენია „საქართველოს სახალხო მწერლისა“ და „საქართველოს სახალხო პოეტის“ საპატიო წოდებები!



ძალიანაც კარგი!.. მით უმეტეს, რომ ეს წოდებები მიუნიჭებია ქართველი ხალხის საყვარელი შემოქმედებისთვის — **ჭაბუა ამირეჯიბისთვის, საქართველოს სახალხო მწერლისა** და **ჯანსუღ ჩარკვიანისთვის — საქართველოს სახალხო პოეტისა.**

უკეთესს ვის მივანიჭებდით?!

უკეთესს ვის ვაღიარებდით?!

დარწმუნებული ვარ, ამ „ოფიციალურ“ აღიარებას შეუერთდება მთელი საქართველო!.. რამეთუ, თქვენი შემოქმედება სახალხოა, ჩვენო სახელოვანო თანამემამულენო!

ვილენ მარდალეიშვილი

დღეს საწყალ კაცს პენსია 250 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს

4

ისტორიული ძეგლები „შველას“ ითხოვენ

9

ასეთია სიტყვის თავისუფლება და ანქვაბის წესრიგი

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ხმა ღვთისა ერის გასაგონად!

რაც ეწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას – ქართველი ხალხი არ მიიღებს

(პირველი გვერდიდან)

პატრიარქი შიდა პოლიტიკურ ვითარებასაც შეეხო.

– ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე. ეს მეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლამდე. ჩვენ ამას არასდროს შევეგუებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ შესრულდეს. საქართველო იყო და იქნება ერთიანი ერი, ერთიანი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ძლიერი იყო ხელისუფლება და მის გარშემო მთელი ქვეყანა, ძლიერი იყო საქართველოც. ჩვენი აზრით, ყოველი რაიონი უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომელიც არსებობს რაიონში. ამას არ სჭირდება შუა რგოლი. ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს, უნდა სწავლობდეს, რა სჭირდება თითოეულ რაიონს. ჩვენი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, რომ პრობლემა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ რაიონში, იყოს გამოსწორებული. რატომღაც, ზოგიერთი ცდილობს, რომ კანონი სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს განხილული მთელი ერის მიერ. ხალხმა უნდა იმსჯელოს რა არის მისაღები საქართველოსთვის. ამიტომ, არ უნდა ვიჩქაროთ. ხალხი უნდა გაეცნოს თვითმმართველობის ამ კანონს. მე მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს პარლამენტს და ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ეს საშიშროება და ნუ ავჩქარდებით ამის მიღებაში, – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა მთიანი რეგიონების სოფლების პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთა მოსახლეობისგან თანდათან იცლება.

– ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მთიან რაიონებში შევქმნათ ისეთი პირობები, ხალხს აღარ მოუნდეს იქიდან წამოსვლა. კურთხეულია ჩვენი მთაც და ბარიც. მე მინდა ვთხოვო ჩვენს ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს მთას და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ხალხი მთაში ცხოვრებით კმაყოფილი იყოს, – განაცხადა ილია მეორემ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სვეტიცხოველში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ მრევლს ქადაგებით მიმართა, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვიდი ახალი ეპისკოპოსის კურთხევა მიულოცა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ დღეს არის ისტორიული და ბედნიერი დღე, ეკურთხა მეშვიდე მღვდელმთავარი, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი გრიგოლ კაცია. წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქმა მღვდელმთავარს ეპისკოპოსის კვერთხი გადასცა.

პატრიარქის თქმით, მას არ ეგულება საქართველოს ისტორიაში დღე, როდესაც წმინდა სინოდმა ერთდროულად 7 მღვდელმთავარი აირჩია და მათი კურთხევა მოხდა. უწმინდესმა აღნიშნა, რომ თავად შვიდი საიდუმლოდ მოცული ციფრია და კეთილის ნიშანია.

მისივე თქმით, ძნელი წარმოსადგენია თუ რით დაიმსახურა ქართველმა ერმა უფლის დიდი წყალობა. პატრიარქის თქმით, უფალი ხედავს კაცის გულს, მის სიწრფელეს და მადლს ამის მიხედვით აძლევს.

– მინდა მთელ საქართველოს შვიდი ეპისკოპოსის კურთხევა მივულოცო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე დადგება ის დღე, როცა საქართველო გამთლიანდება, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაუბრუნდება საქართველოს, ისე როგორც ძირძველი სხვა კუთხეები და ბედნიერი იქნება აფხაზიც, ოსიც და ქართველიც ერთიან საქართველოში, – აღნიშნა საქართველოს პატრიარქმა.

ამასთან, წმინდა სინოდის 11 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უკვე ექვსი ახალი მღვდელმთავარი ჰყავს. კერძოდ, ახალი მღვდელმთავარი ჰყავს: თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის (ეპისკოპოსი მიქაელი გაბრიჭიძე), მარგვეთისა და უბისის (ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძე), სამთავისისა და კასპის (ეპისკოპოსი დამიანე ხუფენია), სურამისა და ხაშურის (ეპისკოპოსი სვიმონ ცაკაშვილი), მარნეულისა და ხუჯაბის (ეპისკოპოსი გიორგი ჯანდელიანი), აგარაკ-წალკის (ეპისკოპოსი იოანე შომახია) ეპარქიებს.

◎ „მბრუნავი კარის“ პრობლემა საქართველოში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მთავრობასა და ბიზნესს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობს. ამის შესახებ გუშინ კვლევის პრეზენტაციის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა ეკა გიგაურმა განაცხადა.

ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა ინტენსიურად მიმდინარეობს

კვლევის თანახმად, საქართველოში ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს და საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია არაერთი მსხვილი ბიზნესმენი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეულ წევრებს პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ ბიზნესთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, მსგავსი მოძრაობა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებშიც შეინიშნება.

– პარლამენტში 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით არჩეულმა მსხვილმა ბიზნესმენებმა დავით ბეჟუაშვილმა, გოჩა ენუქიძემ და კახა ოქრიაშვილმა ყოფილი მმართველი პარტია მას შემდეგ დატოვეს, რაც მან ძალაუფლება დაკარგა, ეს წარმოშობს საფუძვლიან კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რა მიზნით მოდიან ქართველი ბიზნესმენები პოლიტიკაში. ქართველი თანამდებობის პირებთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა კომპანიამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო სახელმწიფოსთან ურთიერთობის შედეგად. ეს სარგებელი გამოიხატება, როგორც სახელმწიფო შესყიდვებით მიღებულ თანხებში, ისე საგადასახადო შეღავათებში, ექსკლუზიურ ლიცენზიებსა და უფლებებში, კონკრეტულ კომპანიებზე მორგებულ კანონმდებლობასა და კონკრეტული კომპანიების მიმართ სამართლადამცავი უწყებების ლმობიერ დამოკიდებულებაში, – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში.

კვლევის ავტორები კონკრეტულ მაგალითებზეც საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ პარლამენტის ყოფილ და მოქმედ წევრებთან კანდიდ კვიციანთან, არჩილ გეგენავასთან, თემურ კოხოძესა და გოჩა ენუქიძესთან დაკავშირებულმა კომპანიებმა სახელმწიფო შესყიდვების გზით მილიონობით ლარი მიიღეს.

– სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიძიეს პარლამენტარის წევრებთან რუსუდან კერვალიშვილთან და დავით ბეჟუა შვილთან დაკავშირებული კომპანიების მიერ ჩადენილი საეჭვარაუდო სამართალდარღვევები იმ პერიოდში, როდესაც ისინი საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენდნენ. არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ 2012 წელს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც კომპანიებს გარემოსადმი მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების საშუალებას აძლევდა, დეპუტატ კობა ნაყოფიასთან დაკავშირებული კომპანიის ინტერესებზე იყო მორგებული. თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიები 2012 წლამდე პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს სატელევიზიო რეკლამის ბაზარს. ტელეკომპანია „იმედმა“ ორჯერ ისარგებლა საგადასახადო ამნისტიით იმ პერიოდში, როდესაც მისი დირექტორი და თანამფლობელი იყო ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი არველაძე. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე ზვიად ჭეიშვილი თანამდებობის დატოვების შემდეგ, ქართულ-ჩინურ კერძო კომპანიაში გადავიდა, რომელიც თანამდებობაზე მისი ყოფნის პერიოდში სამინისტროსგან ტყეთ სარგებლობის ლიცენზიების ერთ-ერთი მსხვილი მიმღები იყო, – აღნიშნულია კვლევაში.

– კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ჩიქოვანი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ინარჩუნებდა კომერციულ ინტერესებს იმ სექტორში, რომლის ზედამხვედელობაც მისი თანამდებობრივი მოვალეობა იყო. მხოლოდ სათანადო გამოძიების საშუალებით შეიძლება იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი კორუფციას ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში. თუმცა, სათანადო რეგულირების არარსებობის და გამჭვირვალობის არარსებობის პირობებში, მსგავსი შემთხვევები ამცირებს საზოგადოების ნდობას მთავრობისა და პოლიტიკური სისტემის მიმართ, რაც მეტად სერიოზული პრობლემაა.

ორგანიზაცია აღნიშნულ ფაქტს „მბრუნავი კარის“ პრობლემად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ, ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ენერგეტიკის სამინისტრო იპყრობს.

– ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს თანამდებობაზე დანიშვნამდე პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდა ენერგეტიკის სექტორში მოქმედ რამდენიმე კომპანიასთან. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი, რომელსაც თანამდებობა 2008 წლიდან უკავია, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2011 წელს შპს „ტოტ ენერჯის“ დირექტორიც იყო, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა, – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვან მექანიზმებს შეიცავს აღნიშნული პრობლემების პრევენციისთვის, თუმცა კანონსა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შედეგად პროცესის ეფექტური რეგულირება ამჟამად არ ხორციელდება.

ორგანიზაცია რეკომენდაციით მიმართავს ხელისუფლებას, მოხდეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ასევე არსებული საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში აღსრულების უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს იმის განსაზღვრას, რომელი უწყებები არიან პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა მიერ სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის დაცვის უზრუნველყოფაზე.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“

საქართველოს მცირედ გაუარესებული მდგომარეობა აქვს

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2013 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში (CPI), რომლის მეშვეობითაც 177 ქვეყნის საჯარო სექტორში არსებული კორუფციის აღქმის დონე იზომება, საქართველო 49 ქულით 55-ე ადგილზეა. შარშან საქართველო 176 ქვეყანას შორის 52 ქულით 51-ე ადგილზე იმყოფებოდა. კორუფციის აღქმის მაჩვენებელი საქართველოში კვლავაც უფრო მაღალია, ვიდრე ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მაგრამ, მდგომარეობის რამდენიმე პუნქტით გაუარესების მიუხედავად, საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანას — ხორვატიას და ჩეხეთის რესპუბლიკას. კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დანიაში, ახალ ზელანდიაში, ფინეთში, შვედეთში, ნორვეგიასა და სინგაპურშია. ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნებად ერაყი, ლიბია, სამხრეთ სუდანი, სუდანი, ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა და სომალი აღიქმებიან. რა შეიცვალა ერთი წლის განმავლობაში საქართველოში, კორუფციის აღქმის თვალსაზრისით?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსის ერეკლე ურუშაძის სიტყვებით, კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ცვლილება არ არის ისეთი საგანგაშო, რომ შორსმიმავალ გრძელვადიან გაუარესებაზე საუბარი შეიძლებოდეს. ამასთან, 2013 წლის ქულა შეიძლება წინა წლების ტენდენციებსაც ასახავდესო, ამბობს ერეკლე ურუშაძე, ვინაიდან გარკვეული დაყოვნება ასეთ კვლევებს ყოველთვის ახასიათებს. თუმცა, კორუფციის აღქმის ინდექსში რამდენიმე ქულით მდგომარეობის გაუარესების მთავარ განმაპირობებლად ერეკლე ურუშაძე გასულ წელს ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით საჯარო სამსახურში ათასობით თანამშრომლის გათავისუფლებას და მათ ნაცვლად ახალი კადრების ხშირად კონკურსის გვერდის ავლით აყვანას ასახელებს და იმ მიზეზებზეც საუბრობს, რამაც განაპირობა გასულ წლებში საქართველოში კორუფციის ერთ-ერთი ფორმის, სახელდობრ, ელიტური კორუფციის გავრცელება: **„მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა საქართველოში მაღალი დონის კორუფციის რისკის არსებობა, ეს იყო ძალაუფლების კონცენტრაცია თანამდებობის პირთა ძალიან ვიწრო ჯგუფის ხელში — პრინციპში, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ხელში. აღმასრულებელი ხელისუფლების ძალიან მაღალ რგოლებში ძალაუფლების კონცენტრაციის დონე იყო ძალიან მაღალი. ამავე დროს, ქვეყანაში სუსტი იყო პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება, სუსტი იყო მედია, იგივე სახელმწიფო აუდიტის სამსახური. პრინციპში, არ არსებობდა არანაირი მაკონტროლებელი მექანიზმები, რომლებიც მოგვცემდა საშუალებას, რომ საზოგადოებას გაეკონტროლებინა ხელისუფლების მცირე ჯგუფის საქმიანობა, რომლის ხელშიც რეალურად კონცენტრირებული იყო ძალაუფლება“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსის ერეკლე ურუშაძის სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მაინც სუსტია ანტიკორუფციული მექანიზმები, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც, რომელსაც წინა წლებში საკმაოდ სერიოზული პრობლემები ჰქონდა რესურსების თვალსაზრისითაც და, ბოლო წლებში, პოლიტიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისითაც, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, უარყოფითი ტენდენციების პარალელურად, პოზიტიური ცვლილებები მაინც შეინიშნება კორუფციასთან ბრძოლის მხრივ: **„მიმდინარე წლის გაზაფხულიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ვებგვერდზე ქვეყნდება ყველა კონტრაქტი, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული, მათ შორის, ისინიც, რომლებიც გამარტივებული შესყიდვის წესით იდება, რაც ადრე, წინა წლებში, არ ხდებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაცვის სამინისტრო ახლა თავისი შესყიდვების გაცილებით დიდ ნაწილს აკეთებს ღია ტენდერების გზით, ვიდრე ეს ხდებოდა წინა წლებში, თუმცა, მაინც შეინიშნება კომპლექსური მიდგომების ნაკლებობა ანტიკორუფციული მიდგომებისადმი, ანუ ერთიანი კონცეფცია ანტიკორუფციული რეფორმის, შეიძლება ითქვას, რომ არც წინა წლებში გვქონია და არც ახლა გვაქვს“.**

კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს პოზიციის მცირედით გაუარესების თაობაზე დასმულ შეკითხვაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 3 დეკემბრის პრესკონფერენციაზე განაცხადა, კორუფციის მაგალითები ქვეყანაში არ არსებობსო: **„მე ვერ ვიტყვი, რომ რაიმე მდგომარეობა გაუარესდა. შესაძლოა, სხვაგან გაუმჯობესდა. თუმცა, ყველაფერი სტაბილურია, იგივეა, და ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ არ დავუშვათ კორუფცია და მე ვერ მეტყვით ველარც ელიტური და ველარც არაელიტური კორუფციის მაგალითებს. ჩვენ ძალიან მკაცრნი ვართ ჩვენი საკუთარი თანაგუნდელების მიმართ იმისათვის, რომ ქვეყანაში არ დავუშვათ კორუფცია და სახელმწიფომ შეასრულოს თავისი ფუნქციები“.**

კორუფციის არარსებობაზე საუბრობდა წინა ხელისუფლებაც, ამბობს „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე. მისი ორგანიზაციის მიერ გასულ წელს ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფციის არსებობას სასამართლო პრაქტიკა უჩვენებდა, რომლის მიხედვითაც, ბიზნესზე ზეწოლის თაობაზე მიმდინარე სასამართლო პროცესების 90-%-ში გამარჯვებულად სახელმწიფო სახელდებოდა. ამგვარი ზეწოლის შესახებ უკანასკნელ პერიოდში ნინო ევგენიძეს აღარ სმენია, თუმცა, მისი სიტყვებით, მთავარი ანტიკორუფციული კანონმდებლობა და ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა, გამოვლინდეს კორუფციის თუნდაც მცირემასშტაბიანი შემთხვევები. **ნინო ევგენიძის სიტყვებით, უნდა გაძლიერდეს ანტიკორუფციული საბჭოს როლი და პოლიტიკური ნება, გაძლიერდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. იგივე რეკომენდაცია აქვს „საერთაშორისო გამჭვირვალობასაც“. ექსპერტების შეფასებით, კორუფცია საქართველოში ენდემური პრობლემა აღარ არის და ახლა მთავარი აქცენტი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრაზე კეთდება.**

ნინო ხარაძე

სუამი

ძალა ერთობაშია!..

2-3 დეკემბერს თბილისი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ სუამის საპარლამენტო ასამბლეის მე-6 სხდომას მასპინძლობდა. სუამის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების გარდა, სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პოლონეთის, ლატვიისა და ესტონეთის დელეგაციები. რა გამოწვევის წინაშე დგას და რა პერსპექტივა აქვს სუამს — საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის დემოკრატიულ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე გამყარებულ კავშირს?

თუკი დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის — „სუამის“ — შემადგენლობას გავითვალისწინებთ, იოლი მისახვედრია, თუ რა საკითხები მოექცეოდა საპარლამენტო ასამბლეის მე-6 სხდომის ყურადღების ცენტრში. საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდავეთს არაერთი საერთო პრობლემა, საფიქრალი, მიღწევა თუ მიზანი აქვთ. გამოწვევებს შორის არის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რომელსაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, ხოლო ჟურნალისტებთან საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკეს ტექსტშიც აისახა: **„მასში აღნიშნული იქნება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე მოვლენები: ე.წ. საზღვრის დამონტაჟება, სასაზღვრე ნიშნების დამონტაჟება, მავთულსლართების დამონტაჟება და ა.შ.“.**

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ საქართველომ, როგორც სუამის მორიგე თავმჯდომარემ, 2013 წელს ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს უფრო მეტი საერთო ენა გამოენახათ და წინ წაწეულიყვნენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კუთხით. აქვეა ურთიერთობები განათლებისა თუ კულტურის სფეროებში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ სუამს, რომელიც თანდათან სულ უფრო იხვეჭს სახელს, სერიოზული მომავალი აქვს: **„ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, კონკრეტული ქვეყნები ნელ-ნელა აქტიური თანამშრომლობის ფაზაში შედიან ორგანიზაციასთან და სუამი, როგორც ოთხი სახელმწიფოს გაერთიანება, უკვე იქცა გარკვეულ მიზიდულობის ცენტრად, რომელთანაც ძალიან ინტენსიურად თანამშრომლობენ ბალტიის ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქულენოვანი სახელმწიფოების საპარლამენტო ასამბლეა და ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს ამ თანამშრომლობას“.**

სუამის წევრი სახელმწიფოები ასევე ერთად არიან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაშიც, მაგრამ, როგორც ვილნიუსის სამიტმაც დაგვანახვა, ისინი სხვადასხვა ტემპითა და თანამიმდევრობით მოძრაობენ ევროპული ოჯახისკენ. მაგალითად, თუკი საქართველო და მოლდავეთი მოწინავეთა შორის არიან და 29 ნოემბერს უკვე პარაფირებაც გაუკეთეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, აზერბაიჯანმა პარტნიორობის სხვა ფორმები აირჩია, ხოლო უკრაინაში ხალხმრავალი აქციები იმართება იმის გამო, რომ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უარი თქვა ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა სუამის საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას, საქართველო პატივს სცემს უკრაინელი ხალხის არჩევანს და, ზოგადად, საქართველო პატივს სცემს თითოეული ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეების თავისუფალ ნებას.

მაგრამ ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ევროკავშირის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ ქვეყნების ურთიერთობას უკვე სუამის ფარგლებში და, საერთოდ, ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ამ ორგანიზაციის მომავალს?

ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორს ირაკლი მენაღარიშვილს. ის თვლის, რომ სუამი კვლავაც დარჩება ფორუმად, სადაც ძალა ერთობაშია და რომ უახლოეს მომავალში ამ გაერთიანებას რუსეთის კიდევ ერთ ჩანაფიქრთან მოუწევს გამკლავება.

„მხედველობაში მაქვს ევრაზიული კავშირის ჩამოყალიბება და მასში სუამის წევრი სახელმწიფოების, რბილად რომ ვთქვათ, მიწვევა. თუმცა, როგორ ახორციელებს რუსეთი მსგავს მიწვევებს, მგონი, არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო. სუამი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც საკონსულტაციო დაჯგუფება ქვეყნებისა, რომლებსაც მსგავსი პრობლემები და გამოწვევები ჰქონდათ და ისინი, ერთად, ერთმანეთთან კონსულტაციით, ერთმანეთის მხარდაჭერით ახერხებდნენ გამოწვევათა დაძლევას“, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ირაკლი მენაღარიშვილმა.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ინფორმაციით, სუამის საპარლამენტო ასამბლეის პირველი სადამფუძნებლო სხდომა 2004 წლის 23 სექტემბერს კიევში ჩატარდა, სადაც მიღებულ იქნა საპარლამენტო ასამბლეის დაფუძნების შესახებ დეკლარაცია და რეგლამენტი. სუამის საპარლამენტო ასამბლეის შემადგენლობაში შედიან წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტის დეპუტატები (არანაკლებ 6 წევრისა).

საპარლამენტო ასამბლეის ფუნქციებში შედის სამართლებრივი ბაზის დახვეწა, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში თანამშრომლობის ხელის შეწყობის მიზნით; აგრეთვე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და სუამის სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია.

ლელა კუნჭულია

◎ გვეხმაურებიან

„პენსია უნდა ეყოს კაცს თუ კაცი – პენსიას?“

დღეს საწყალ კაცს პენსია 250 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს

მე თავად პენსიონერი ვარ და „საქართველოს რეს-პუბლიკის“ წლევანდელი 29 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ოთარ ხუციშვილის სტატიის სათაურს („პენსია უნდა ეყოს კაცს თუ კაცი – პენსიას?“), რომ დავხედე, ბუნებრივია, მისი შინაარსით დავინტერესდი. ავტორი წერილში სრულიად სწორად და სამართლიანად სვამს კითხვას: საინტერესოა, **რამდენ დღეს მოახერხებს ერთი რიგითი პენსიონერი თავის გატანას ამჟამინდელი 150-ლარიანი პენსიით?** ამ კითხვის პასუხად იქვე მოჰყავს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლის თანახმად, პენსიონერის ყოველთვიური ხარჯები სადღეისოდ სულ მცირე 200-300 ლარის ტოლია, მისი პენსია კი მხოლოდ 150 ლარია!

აქედან გამომდინარე, წერილის ავტორი თავს უფლებას აძლევს „ოცნების“ ლიდერებს შეახსენოს თავიანთი დანაპირები – მთავრობაში რომ მოვალთ, პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით, 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო. მე პირადად, როგორც პენსიონერი, მოველოდი, რომ ახალი ხელისუფლება ძველ, არარეალურ საარსებო მინიმუმს გულდასმით დაიანგარიშებდა, შეცვლიდა მას ამჟამინდელი, რეალური მონაცემებით და პენსიების ოდენობას ამის მიხედვით განსაზღვრავდა.

ასე კი ვფიქრობდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი, როგორც ზემოხსენებული სტატიიდან ირკვევა, ქვეყნის მთავარ ფინანსისტს, ბატონ ნოდარ ხადურს, თურმე სჯერა, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება პირნათლად შეასრულა. **„ვერ გამიგია, რას გვედავებით, ბატონებო, – აცხადებს ფინანსთა მინისტრი, – ხალხს ვპირდებოდით, რომ პენსია გაუთანაბრდებოდა საარსებო მინიმუმს და ეს ასეც მოხდა: ოფიციალური მონაცემებით, ამჟამინდელი საარსებო მინიმუმი შეადგენს 144 ლარს, პენსია კი უკვე 150 ლარიაო!“**

ბატონ მინისტრს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ პენსიონერები ამჟამად არა მარტო საარსებო მინიმუმის ტოლფარდ, არამედ მასზე მთელი 6 ლარით მეტ პენსიას ვიღებთ(!) თუ დღევანდელი საარსებო მინიმუმი ნამდვილად 144 ლარია, მაშინ იქნებ ნოდარ ხადურმა მიპასუხოს, თავად 7000 ლარი ხელფასი რატომ დაინიშნა ან პარლამენტარები რატომ იღებენ ყოველთვიურად 3500 ლარს (მთქნარებასა და ერთმანეთთან კინკლაობაში?). დემოკრატიის შუქურად აღიარებულ საქართველოში რამდენად სამართლიანია ჩინოვნიკი რიგით მოქალაქეზე, ამ შემთხვევაში პენსიონერზე, 50-ჯერ და ზოგჯერ უფრო მეტჯერ ანაზღაურებას იღებდეს? ამით ვაპირებთ, ბატონებო, ევროპულ ღირებულებებთან თანაზიარობას და ქართველების გაევროპელებას?!

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მართალია გვაიმედებს, რომ ქვეყანა უახლოეს წლებში რეალურ საპენსიო სისტემაზე გადავა და პრობლემა მოიხსნებაო, მაგრამ ეს როდის იქნება, ან მას (ლაპარაკია დაგროვებით პენსიაზე) რომელი ჩვენგანი მოესწრება? დღევანდელი მშიერი პენსიონერები, მოგეხსენებათ, რის დამგროვებლებიც ვართ, ისინი კი, რომლებიც ხსენებულ საპენსიო სისტემაში ჩაებმებიან, მხოლოდ 20-25 წლის შემდეგ თუ შეძლებენ ნორმალური ანაზღაურების მიღებას.

მე თუ ტყუილს ვლაპარაკობ და ხადური სიმართლეს, ვთხოვ, არ დაიზაროს და პასუხი თქვენი გაზეთის მეშვეობით გამცეს, ჩემთან კამათს თუ არ იკადრებს, იქნებ პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს მაინც უპასუხოს, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ **„დღეს საწყალ კაცს პენსია 250 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს“.**

ჯემალ ცუცქირიძე,
პენსიონერი

◎ ბიუჯეტი

ჯანდაცვას და სოფლის მეურნეობას ცოტა ჩამოათალეს...

საგაინსო სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო პროექტი უკვე ცნობილია. ფინანსთა სამინისტრომ მთავარი ფინანსური დოკუმენტი ცოტა კიდევ შეასწორ-შემოასწორა და პარლამენტს წარუდგინა. ნოდარ ხადურს ეიმედება, რომ ბიუჯეტს 2-3 კვირაში დაამტკიცებენ და დეპუტატებს რაიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნები აღარ ექნებათ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი 2014 წლის ბიუჯეტში ის არის, რომ მომავალ წელს სახელმწიფო ბიზნესს ზედმეტად გადახდილი გადასახადების ნაწილს დაუბრუნებს. ამ მიზნით, ბიუჯეტში დაახლოებით 150 მლნ ლარია გათვალისწინებული.

მთლიანობაში კი წინა წლებში ზედმეტად გადახდილი გადასახადების ოდენობა 1 მილიარდ ლარს აღემატება.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ჯერ კიდევ აგვისტოში განაცხადა, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანია ბიზნესში რეინვესტირების ხელშეწყობა და კომპანიების საბრუნავი სახსრების გაზრდა.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბიზნესს ჰქონდეს მუშაობის საშუალება და ბიზნეს-გარემო იყოს წარმატებული. მთავრობის გადაწყვეტილებაა, გააქტიუროს წინასწარ და ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების პროცესი და მარტივი გადამოწმების შემდეგ, გადამხდელებს დაუბრუნდეთ ის გადასახადები, რომლებიც მათ ბიუჯეტში ზედმეტად აქვთ გადახდილი, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

2013 წელთან შედარებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 313.0 მილიონი ლარით და 2,658 მილიარდ ლარს შეადგენს. თუმცა, კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, სამინისტროს დაფინანსება ცოტათი შემცირებულია – 42,0 მილიონი ლარით. ეს ფაქტი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების შემცირებას უკავშირდება.

კერძოდ, პროგრამაში 2013 წელსაც ეკონომია 100 მილიონ ლარს შეადგენს.

– პროგრამის თითოეულ ბენეფიციარზე თანხა გათვლილი იყო იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც იხარჯებოდა სადაზღვევო კომპანიების მიერ, თუმცა, პროგრამის 4 თვის ანალიზიდან გამოვლინდა, რომ თვეში ეკონომია 40-50%-ია. აქედან გამომდინარე, სამინისტროსთვის 2014 წელს გამოყოფილი ასიგნებები სრულად უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფინანსებას, – განმარტავენ ფინანსთა სამინისტროში.

წლევანდელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება იზრდება (22,5 მილიონი ლარით) და 263,5 მლნ ლარს აღწევს. ამ შემთხვევაშიც, სამინისტროს დაფინანსება კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით შემცირებულია (26,5 მილიონი ლარით), რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წლეულს სამინისტროში 50 მილიონ ლარზე მეტი ეკონომია გაკეთდა.

უკვე 2013 წლის ბოლომდე დაიფარება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად წინა წლებში აღებული სესხის ის ნაწილი, რომლის დაფარვის ვადა 2014 წლის დასაწყისში დგებოდა. სხვათა შორის, სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხიდან, 71,1 მილიონი ლარი სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაციას მოხმარდება. 63,8 მილიონი ლარი შეღავათიანი აგროკრედიტების დაფინანსებისთვისაა გათვალისწინებული, ხოლო 50,0 მილიონი ლარი – მცირემეწარმიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისათვის.

2014 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში ფინანსთა სამინისტრომ თბილისის მერის მოთხოვნა არ გაითვალისწინა. ბიუჯეტის პროექტში თბილისისთვის კვლავ შემცირებული ტრანსფერია გათვალისწინებული.

საერთოდ კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულების გამოყოფილი ტრანსფერები ჯამურად გაზრდილია 76 მლნ ლარით, დედაქალაქისთვის გამოყოფილი დაფინანსება კი, 49.9 მლნ ლარით არის შემცირებული.

თბილისის მერმა 2014 წელს თბილისისთვის გამოყოფილი ტრანსფერის შემცირებას სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის წარდგენისას, ნოდარ ხადურის მიერ დედაქალაქისთვის „განხორციელებული ჯიჰადი“ უწოდა და მთავრობას ამ გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა.

სამინისტრომ კი, განმარტა, რომ ტრანსფერის შემცირება 2013 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტში არსებულ ნაშთს უკავშირდება, რომელიც 2014 წლის დასაწყისისთვის 100 მლნ ლარზე მეტი იქნება.

ეკა ბაძრაძე

◎ ალიან-ჩალიანი

პედაგოგები დირექტორის წინააღმდეგ

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები დირექტორის ქეთევან ფეიქრიშვილის გადაყენებასა და ბავშვებისთვის დაწესებული მოსაკრებლის გაუქმებას მოითხოვენ.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გუშინ მასწავლებლების კრება გაიმართა, სადაც აღნიშნული მოთხოვნები წამოაყენეს. როგორც პედაგოგები აცხადებენ, მათ აქვთ დაძაბული, საპასუხისმგებლო სამუშაო გრაფიკი და დირექციამ არასწორად განსაზღვრა მათი ხელფასები.

– ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ მოგვეცა იმედი, რომ რაღაც შეიცვლებოდა, თუმცა, ჩვენი მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ – გაუარესდა. ახალმა დირექტორმა მოიყვანა თავისი კადრები, ხელოვნურად გაბერა საშტატო ერთეული და მათ ჩვენთან შედარებით 5-10-ჯერ მეტი ხელფასი დაუნიშნა. პედაგოგებს არ გვაძლევენ პრემიებს, თუმცა, ადმინისტრაციისთვის საპრემიო სისტემა არსებობს. ასევე გაუგებარია ბავშვებისთვის მოსაკრებლის დაწესება, რადგან ჩვენ ხელფასებზე ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოდ აისახა, – განაცხადა სასახლის პედაგოგმა ქეთევან მებონიამ.

მისივე თქმით, ახალი თანამშრომლების მხრიდან ძველი პედაგოგების იგნორირება ხდება.

სასახლის დირექტორის ქეთევან ფეიქრიშვილის განცხადებით, მას თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, რომლის გამოსწორებასაც ცდილობს.

– სასახლეში დაახლოებით 260-მდე ადამიანი მუშაობს, რა თქმა უნდა, ყველას აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერ ხდება ყველასთან კომუნიკაცია. ბრალდებები გაბერილ შტატებთან დაკავშირებით მიუღებელია. რაც შეეხება პედაგოგების ხელფასებს, 2014 წლიდან მოხდება მათთვის ხელფასების მომატება, – აცხადებს ფეიქრიშვილი.

სასახლის დირექტორი პედაგოგთა უნდობლობას იმ მიზეზით ხსნის, რომ წლების განმავლობაში მათ იმედები უცრუვდებოდათ და ახლა ყველა პრობლემის მოგვარება სწრაფი ტემპით სურთ.

შეკრებას 190-მდე პედაგოგი ესწრებოდა, რომელთა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის დირექტორის თანამდებობიდან ქეთევან ფეიქრიშვილი უნდა გადადგეს.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- **იუსტიციის სახლი და აეროპორტი დაძმობილდნენ, გაუყვნენ შარას. შემოსვდათ რუ...**
- **იუსტიციის სახლში ვიღაც ძაღლისთავიანი კაცი დატანტალებს თურმე – ჩემთან იყო თქვენი კრიშა დაზღვეული.**
- **მივმართავ პრემიერ-მინისტრს: ბატონო ირაკლი, შეისწავლეთ რეგიონებში მელაშვილის მავნებლური საქმიანობა (საკრებულოს წევრების დატერორება) და გადააყენეთ დაკავებული თანამდებობიდან. დარწმუნებული ვარ, წესიერი მრჩეველი გჭირდებათ და არა დეპუტატების დამტერორებელი. მეორე- შეისწავლეთ, რა საფრთხეებს შეიცავს ქვეყნისათვის მის მიერ მომზადებული კანონპროექტი თვითმმართველობის შესახებ და იმოქმედეთ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.**

- **„ჩამოუქროლე ჩემს საქართველოს“ – განაცხადა იუსტიციის სახლის „კრიშამ“.**
- **ასადი ამერიკული პროექტია და თავი დაანებეო, სააკაშვილი არ დაიჭიროთო. აბა ქიმიის, ფიზიკის, ინგლისურის და რუსულის მასწავლებლებს რა ვუყო, ორი თვეა ფული ვერ მივეცი და სახლში, გაკვეთილის ჩასატარებლად რომ მოდიან, კარზე გაბრაზებული კაკუნი ისმის – მე ხომ ვგრძნობ, თუ როგორ აკაკუნებენ...**
- **მამაჩემი და, სავარაუდოდ, ბევრი თქვენგანის მამები, ან ბაბუები, რუსეთის იმპერიაში დაიბადნენ და საბჭოთა იმპერიაში გარდაიცვალენ, ნაცებო და ნაცმაცუნებო, თქვენი წინაპრები თუ რუსების მონები იყვნენ, ჩვენები არ ყოფილან, ასე რომ მოკალით ეს ტუფტა ბაზრები, თქვე გენეტიკურად მონებო!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ აფხაზეთი

...ასეთია სიტყვის თავისუფლება და ანქვაბის წესრიგი,

ანუ სეპარატისტებს კრიტიკა აღიზიანებთ

20 წლის წინანდელი ომის შემდეგ რუსებმა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას, ალბათ, მილიარდი რუბლი გამოუყვეს, მაგრამ სოხუმი და, განსაკუთრებით, სხვა ქალაქები ისევ ახალ ნაომრებს ჰგვანან. ყველგან მოშლილია ინფრასტრუქტურა, არ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ თავიანთ გაფლანგულ მილიარდებზე რუსები მკაცრად არ რეაგირებენ. როგორც დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ყოფილი შსს-ს პირველი მოადგილე **რუზგენ ბერიშვილი** აცხადებს, მისი ინფორმაციით, ტყვარჩელში, ერთ-ერთ გაჩერებულ შახტაში გახსნილია ჰეროინის დამამზადებელი ქარხანა, რომელსაც რუსი სამხედროები აკონტროლებენ. რაც შეეხება გამოყოფილ მილიარდებს, თანხა ძირითადად ხმარდება საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა ხელფასებს. მორჩენილ ფულს კი დე ფაქტო ხელისუფლების ელიტა ინაწილებს.

სწორედ ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკას აკრიტიკებს სოხუმში, მცირე ტირაჟით გამომავალი გაზეთი „ნუჟნაია გაზეტა“. ეს გაზეთი 10 წლის წინათ დაარსდა. მასზე მოთხოვნილება დიდია, მასმედიის ეს საშუალება კვირაში ერთხელ გამოდის. დამფინანსებლად გვევლინებიან უცხოეთში მცხოვრები აფხაზები. გაზეთი აშუქებს აფხაზეთის მიმდინარე და საერთო პრობლემებს. რედაქტორია იზიდა ჭანია, — გვიხსნის აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყოფილი შსს-ს ყოფილი თანამშრომელი, პოლიციის მაიორი **რომან ალანია.**

იგი ამბობს, რომ ეს გაზეთი მართალია, აკრიტიკებს დე ფაქტო ხელისუფლებას, მაგრამ კონკრეტული პირების გადადგომის მოთხოვნის ან სხვა ღონისძიებების შესახებ მის ფურცლებზე არ იბეჭდება, ალანია კატეგორიულად გამორიცხავს იზიდა ჭანიას მიერ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ანქვაბის გუნდის შეხედულებებისგან განსხვავებული მასალების ბეჭდვას, — ამბობს ჩვენთან მოსაუბრე და დასძენს, რომ კონფლიქტთან დაკავშირებით ყველა აქ გამომავალი გაზეთის პოზიცია სრულიად ერთგვაროვანია, ისეთი, როგორიც დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსებს აწყობთ.

რამდენიმე დღის წინათ, „ნუჟნაია გაზეტას“ რედაქტორს იზიდა ჭანიას საკუთარი მანქანა დაუწვეს. იგი თავისი „ფეისბუქის“ მეშვეობით მომხდარს „ნუჟნაია გაზეტაში“ დაბეჭდილი სტატიების ოპოზიციურობას უკავშირებს.

„კავკასიური სახლის“ დირექტორი **გიორგი ჯანაშვილი,** რომელიც აქტიურადაა ჩართული ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ სამოქალაქო დიალოგში მიიჩნევს, რომ მომხდარი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტს უფრო ჰგავს და კატეგორიულად გამორიცხავს პოლიტიკურს.

ალანია კი პოლიტიკურზე აკეთებს აქცენტს, თავის მოსაზრებას იგი იმით ხსნის, რომ „ნუჟნაია“ ძალიან კრიტიკულია, როგორც მაღალი ეშელონების, აგრეთვე რიგითი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში მმართველ ელიტას ურტყამს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჭანიასაც და მის გაზეთსაც საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზები აფინანსებენ, რომლებიც დიდად კმაყოფილნი არ არიან მათ სამშობლოში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რედაქტორის მანქანის დაწვას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ყოფილი პოლიციელისათვის უცნობია, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე, ან რა გამოხმაურება მოჰყვა მომხდარს ჭანიას ადგილობრივ კოლეგებში, მასმედიის საშუალებებში.

დაზარალებული რედაქტორი თავის ფეისბუქზე აქვეყნებს დამწვარი მანქანის ფოტოს და იქვე წერს: **„აი, ასეთია ჩვენთან სიტყვის თავისუფლება და ანქვაბის წესრიგი“.**

სხვაობა 40 ათასი

„მკვდარი სულები“ დევნილთა სიებში

წინა ხელისუფლების დროს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს კობა სუბელიანს არასამთავრობოები ბევრს უკიჟინებდნენ, რომ დევნილთა რაოდენობა გაბერილი იყო და სიები დაზუსტებას საჭიროებდა, მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან დაახლოებულ მინისტრს ეს შეძახილები ნაკლებად ადარდებდა. ის და სხვა მაღალჩინოსნები გაბერილი სიებიდან სარგებელსაც ნახულობდნენ — ყოველთვიურად ათიათასობით ლარს იჯიბავდნენ „მკვდარი სულებისთვის“ განკუთვნილს. იყო დევნილთათვის განკუთვნილი სახელმწიფო თუ საერთაშორისო დახმარებები, სწორედ ამგვარი ნივთიერი დახმარებები აღმოაჩინეს სამინისტროს კუთვნილ საწყობებში, რომლებიც ლტოლვილებზე უნდა გაცემულიყო, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სუბელიანი და მისი გუნდი არ ელოდნენ 1 ოქტომბრის შოკისმომგვრელ შედეგებს და ძვირადღირებული ნივთების ურთიერთშორის განაწილება ან კომერციულ სექტორში გაშვება ვერ მოასწრეს. ამ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება კი მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგები, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

ცოტა ხნის წინათ, პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის სხდომაზე დევნილთა და განსახლების მინისტრმა **დავით დარახველიძემ** ლტოლვილთა რეგისტრაციის მიმდინარე პროცესის შესახებ გააკეთა ინფორმაცია. მისი განცხადებით, რეგიონებში რეგისტრაციის პროცესი დასრულებულია, თბილისში კი სრულდება. მინისტრის განმარტებით, 890 ათასამდე დევნილს ჯერ კიდევ აქვს რეგისტრაცია გასავლელი, გამოიკვეთა სხვაობა რეალობასა და სუბელიანის დანატოვარ სიებს შორის, 30 ათასი. თუმცა, დარახველიძე ვარაუდობს, რომ რეგისტრაციის საბოლოო დასრულებამდე, შესაძლოა, ეს რიცხვი 40-ათასამდე გაიზარდოს.

მინისტრის ვარაუდით, იმ შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების შედეგად, რომლებიც რეგისტრაციის პერიოდში გამოვლინდა, 4 მლნ. ლარზე მეტია დალექილი „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე, რომელთა დაბრუნება ვერ ხერხდება.

საზოგადოება დარღვევების შედეგებზე რეაგირებას ელოდება. იქნებ, პროკურატურის ახალმა ხელმძღვანელობამ ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა კეთილი ინებონ, დასდონ მოსახლეობას პატივი და ამცნონ მას გამოძიების შედეგები და კონკრეტულ თანამდებობის პირთა ბრალეულობა.

ზაზა ბილიხოძე

◎ ნაცების „ნაკეთები“ საქმეები

სად მარხია ძაღლის თავი?

გასული წლის შემოდგომაზე ხალხმა ნაცების უქნარა და თავნება ხელისუფლება კი მოისროლა, მაგრამ მის მიერ „ნაკეთები“ საქმეები დღემდე განაგრძობენ არსებობას. ამათგან სოციალურად ყველაზე უფრო სათუთი და მგრძნობიარეა ხორბლისა და პურის ბაზარი, რომლის მოწესრიგებასა და ნორმალურ კონკურენტულ გარემოში ჩაყენებას ძველმა ხელისუფლებამ თავი ვერა და ვერ გაართვა. ამიტომაც არის, რომ ქართულ ბაზარზე გამეფებულმა მონოპოლიამ როგორც მეპურეს, ისე მისი პროდუქციის მომხმარებელს სიმშვიდე დაუკარგა, ამ უკანასკნელს უჭირს გაარკვიოს, რა იწვევს ფქვილისა და პურის ფასებში ასეთ გაუთავებელ მერყეობას.

პურზე ფასების ზრდა ბევრი კომპონენტით არის გამოწვეული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისინი არავის ახსენდება და ყველა რეაქცია და უარყოფითი ემოცია პურის მცხობელზე ფოკუსირდება. არავის ახსენდება არც ხორბლის შემომტანი და არც მისი გადამმუშავებელი. ჟურნალისტები თუ სხვადასხვა ორგანიზაციების თავკაცები მხოლოდ ხაბაზებს სთხოვენ პასუხს, თითქოს მათი კაპრიზებით იცვლებოდეს ფასები, რაც არასწორია. არც პურის ფასსა და არც ხარისხში უკვე რამდენიმე წელია, მცხობელს არაფერი დაუტოვეს, მას უბრალოდ არაფერს ეკითხებიან.

საქართველოში უკვე 4 წელიწადია, გადაიკეტა ფქვილის ბაზარი, რამაც მეპურეებს ნედლეულის თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგვისპო და მთლიანად მონოპოლისტებზე დამოკიდებული გაგვხადა. ბაზრიდან გაქრა უკრაინული, რუსული, ყაზახური, თურქული ფქვილიც კი, ახლა ამ პროდუქტის ფასს ძირითადად განსაზღვრავს ხორბლის მსხვილი შემომტანი ფირმა, რომელიც თვითონ რა ფასად ყიდულობს ხორბალს და რა გარიგებებს აწარმოებს უცხოურ ფირმებთან, ღმერთმა უწყის.

ახლა ხშირად იწერება პრესაში, რომ მონოპოლია ძირავს ხორბლის ადგილობრივ წარმოებასაც და ფერმერებსაც. მაპატიონ ამ წერილების ავტორებმა, მაგრამ ჩნდება კითხვა: მაშინ სად იყვნენ ეს კრიტიკოსები, როცა ფქვილის ბაზარი დაიხურა და მხოლოდ ხორბლის შემოტანის უფლება დატოვეს, თითქოს ადგილობრივი წისქვილების დასაქმების ხელშეწყობისა და ფქვილის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით(?!). სამწუხაროდ, მეპურეთა ხმა მაშინ ყურად არავინ იღო, მათ შორის არც მეხორბლეთა ასოციაციამ, რომელიც ამას იწონებდა და მიესალმებოდა, არც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, რომლის ლომის წილიც იყო ამ პრობლემის ხელოვნურად შექმნაში. შედეგად მივიღეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე ძვირი ფქვილი, რომლის არჩევანი არც ფასში გვქონდა და არც ხარისხში. აი, სად მარხია ძაღლის თავი, რომლის წყალობითაც უამრავი პურის მცხობელი გაკოტრდა და ვალებში გადავარდა.

ჟურნალისტები კი რატომღაც არა პრობლემის არსზე, არამედ პურის ფასებზე აკეთებენ მცდარ დასკვნებს. ისინი პრობლემას ცალი მხრიდან ხედავენ, არავის აინტერესებს რატომ არის საქართველოში ძვირი ხორბლის გადამუშავება, ენერგო და სატრანსპორტო ხარჯები, რატომ არ არის დღგ კვების პროდუქტებზე დაბალი, ისე როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია. ჩვენ, მეპურეები სულ სხვაგვარად ვხედავთ დღევანდელ სიტუაციას, რომ არა „კარმენი“, ფქვილის ღირებულება კიდევ მაღლა აიწევდა. სამწუხაროა, რომ ქართული წისქვილები აზერბაიჯანული გახდა, მაგრამ ამაზე პასუხი იმათ უნდა აგონ, ვინც მიიღო ამის გადაწყვეტილება. საყოველთაოდ ცნობილ მაგალითს მოვიყვან — ერთდროს ამერიკამ საკუთარი წარმოების ავტომობილების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ჩაკეტა იაპონური მანქანების გაყიდვის ბაზარი. შედეგად ამერიკული საავტომობილო წარმოება ჩამორჩა იაპონურს, ხოლო იაპონური მთელ მსოფლიოში განვითარდა, მოიმატა გაყიდვებმა და შესაბამისად, მოგებამ. ამას ამერიკელები გვიანღა მიხვდნენ!

ლოგიკა ერთადერთია — მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვა, შეჯიბრებითობა და ხარისხი გამოავლენს საუკეთესოს. სამწუხაროდ, საქართველოში ნაცების მიერ გაპარპაშებულმა მონოპოლიურმა ბიზნესმა და თავზე ხელგადასმულმა ფირმებმა დაანგრიეს ჯანსაღი ეკონომიკის საფუძვლები და განავითარეს კანიბალური ეკონომიკა, რასაც ახალმა ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოუღოს.

მალხაზ დოლიძე,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ვაი, თუ ეს მთავრობაც ძველს დაემსგავსოს

ერთი პატარა შეცდომაც კი, თუ იგი გამოუსწორებელია, ხალხს და ქვეყანას საფრთხეში აგდებს და ის კარგიც წყალშია გადაყრილი. ასი თვალი და ასი ყური მართებს ქვეყნის სათავეში მდგომს!

დრო **თავისი მოვლენებით ისე სწრაფად იცვლება, რომ ჭირს შესაბამისი ანალიზის გაკეთება. თუმცა, სიტყვა „შესაბამისი“ პირობითია, რადგანაც თითოეულ ჩვენგანს თავისი საკუთარი აზრი აქვს და ანალიზიც აქედან გამომდინარეა.**

სულ ცოტა ხნის წინათ ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე დღევანდელთან შედარებით განსხვავებული პრობლემები იდგა. ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ ნახევარში აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის მიერ პატიმართა უსაფუძვლო შეწყალებებითა და ათასობით საზღვარგარეთელ თუ საზღვარშიგნით მყოფი ადამიანისთვის, ყოველგვარი წესისა და კანონის დაუცველად, „საქართველოს მოქალაქეობის“ მინიჭების ფაქტებმა არამც თუ გააკვირვა, არამედ დააფრთხო კიდეც საზოგადოება: ვინ იცის რა აზრის, რა შინაარსის და რა მორალის ადამიანები შემოემატებიან ჩვენს ქვეყანასო. იყენებდა რა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს, პრეზიდენტი იქცეოდა ისე, როგორც, ძალიან ბევრი ადამიანის აზრით, არ უნდა მოქცეულიყო. მისი გადაწყვეტილებების შედეგი ქვეყანას. სიკეთეს ვერ მოუტანსო, ასე ფიქრობდა ხალხი და დღეებს ითვლიდა, როდის დამთავრდებოდა და ამოიწურებოდა მისი ძალაუფლების ვადა. რას ვიზამთ. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები, ავიც და კარგიც, უკვე ძალაშია , მას არაფერი ეშველება. ასე გვჭირს ქართველებს: „რაც მოგივა დავითაო...“ ძალიან ხშირად ჩვენს ქვეყანას ჩვენვე ვუთხრით ძირს. პრეზიდენტს ქვეყანა ებარა და, რაც უნდა ბევრი რამ კარგი და საუკეთესო ეკეთებინა, ერთი პატარა შეცდომაც კი, თუ იგი გამოუსწორებელია, ხალხს და ქვეყანას საფრთხეში აგდებს და ის კარგიც წყალშია გადაყრილი. ასი თვალი და ასი ყური მართებს ქვეყნის სათავეში მდგომს!

ცხრა-ათი წელი ხელთ ეპყრათ ქვეყნის მართვის სადავეები, მართვა მაინც ვერ ისწავლეს! ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს (პოლიტოლოგები ვართო!), რომლებიც, ნაციონალური მოძრაობის და თითქმის სულ მთლიანად ამ პარტიით დაკომპლექტებულ მთავრობის წევრებს, „გამოცდილ პოლიტიკოსებს“ ეძახიან. ამ ადამიანებმა მართლაც შექმნეს პოლიტიკურობის პრეტენზიის მქონე პარტია, მრავალწლიანი სტაჟიც აქვთ, მაგრამ სტაჟი და პრეტენზია ერთია და შესაძლებლობა, პოლიტიკოსობის ნიჭი და გონიერება – მეორე. გამოცდილიო, ამბობენ, მე კი ვფიქრობ, რომ გამოცდილი ის არის, ვინც გამოცდას წარმატებით აბარებს. მთავრობაში მოსული პოლიტიკოსის მოვალეობა სხვა არა არის რა, თუ არა ქვეყნის და ხალხის მოვლა-პატრონობა და არა სათავისოდ ძველ-ფეოდალური ელფერის მქონე ცხოვრების მოწყობა, ისიც საკუთარი ქვეყნის, გაღარიბებულ-გასაცოდავებული ხალხის ხარჯზე, არც უცხოელებისთვის ბალ-მასკარად-სანახაობების გამართვა, „პოტიომკინის სოფლების“ მოწყობა და მათს დასანახ-გასაგონად და დასარწმუნებლად გულზე ხელების ბრაგუნი – „აი, ნახეთ, რა მისაბაძ ქვეყანას, რა დემოკრატიას ვაშენებთ, მოგვხედეთ და მოგვბაძეთო“. ამას და ბევრ ასეთს, მათ მიერ არაკეთილსინდისიერ ნამოქმედარ-ნახელავს პოლიტიკოსობას ვერ დავარქმევ. იმათ მიერ განვლილი პოლიტიკური ცხოვრების მაგალითები არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ისინი გამოცდილ-გამობრძმედილთა სახელით მოვიხსენიოთ (თუმცა, ზოგიერთ რამეში მართლაც გამოიბრძმედნენ). იმათ ხალხს ვერც მატერიალურად და ვერც ზნეობრივად ვერ მიხედეს. **რა ქნეს! ხალხის დასასაქმებლად და სიღარიბიდან გამოსაყვანად ააშენეს რაიმე? პირიქით, თუ ვინმემ რამე ააშენა, თუ ვინმემ რამ კაპიტალი მოაგროვა, არა, კი არ ჩამოართვეს, კი არ გააკულაკეს, რას ამბობთ, ამას როგორ იკადრებდნენ, რას მიქვია, ბოლშევიკები ხომ არ იყვნენ, არა, რა თქმა უნდა! აქაო და დემოკრატები ვართო და ბევრ მშენებელს, ბიზნესმენსა და დამსაქმებელს ქონება „გააჩუქებინეს“ ვითომ სახელმწიფოს სასარგებლოდ. არა, პოლიტიკოსებს მე მათ ვერ დავარქმევ! არც საუბარს გავმართავდი მათზე, რაც იყო, იყო-მეთქი, ვიტყოდი, ისტორიას რომ ჩაბარებოდნენ, მათ ნაშთებს კვლავაც რომ არ გაეგრძელებინათ „გამოცდილი პოლიტიკოსობა“. ხალხში შიში რომ არ ჩაენერგათ: ვაი თუ ახალმოსულებს გადასდონ თავიანთი „გამოცდილებანიო“...**

ერთი სიტყვით, ასე თუ ისე, ახლა მაინც სხვა დრო მოვიდა, პრეზიდენტს, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდი, ახლა ზედსართავი სახელი „ყოფილი“ დაემატა. თუმცა, იგი უკვე ჩვეულებრივი მოქალაქეა, ამერიკაში იმყოფება, სადაც კვლავაც აგრძელებს ძველებური რიტორიკით საუბარს და თითქმის დარწმუნებულია, რომ მომავალშიც მოევლინება საქართველოს დიდ პოლიტიკოსად. დიახ, როგორც ამბობენ, კიდევ დარჩაო ასაშენებელი რამდენიმე „ძეგლი“ და შადრევანი.

საქართველოს დღეისათვის ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავრობა ჰყავს. გამოცდილებით ვიხელმძღვანელებ და ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი მათზე. თუმცა, ახალი მთავრობა არც თუ მთლად ახალია, იგი უკვე ერთი წელია, 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე, როგორც ვიცით, ნაწილობრივ მართავდა ქვეყანას. ვინ იცის, იქნებ მართვის ამ ფორმის, ანუ მთავრობის ძველ წარმომადგენლებთან, ძველ პრეზიდენტთან ერთად მართვის (კოჰაბიტაციას რომ ეძახიან) მიზეზია ერთმანეთს რომ დაემგვანა ახალი და ძველი. ხომ გაგვიგონია, „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“... დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ვისი რა ბრალია, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, მთავრობაში მოსვლისთანავე ორივემ რომ ერთნაირად იზრუნა საკუთარ ჯიბეზე: ისედაც დიდი ხელფასები გაიორკეცეს! მსგავსებას მინისტრების ხალხთან დამოკიდებულებაშიც ვხედავთ. კაბინეტი შეუვალ ციხე-სიმაგრედ აქციეს. პროფესიონალსაც კი არ შეუძლია მინისტრთან შეხვედრა, ამა თუ იმ საკითხზე აზრის გაზიარება, დარგის საკეთილდღეოდ წინადადების უშუალოდ მიწოდება. ასეთი მოვლენისადმი უკმაყოფილება ბევრისაგან ისმის და ხშირადაც. მაგრამ რატომღაც მაინც ვერ ვიჯერებდი ერთი ჩემი ახლობელი პროფესორის უშედეგო მცდელობის მოწმე თავად რომ არ გავმხდარიყავი. რვა თვე თუ მეტიც გავიდა მას შემდეგ, რაც ეს პატივცემული მეცნიერი შეხვედრის თხოვნით და განცხადებებით უშედეგოდ მიმართავს თავისი დარგის მინისტრს. როგორც თავად ამბობს, მნიშვნელოვანი პროექტი აქვს და არ უნდა ისე მოუვიდეს, როგორც წინა მთავრობის დროს მოუვიდა: თავისი მოსაზრებები გააცნო (სხვათა შორის, მაშინ მინისტრს დაუბრკოლად შეხვდა!), მოუწონეს, მონახაზი დაიტოვეს და შემდგომ ყველაფერი ეს ისე განახორციელეს, ავტორი და წინადადების მომწოდებელი არც კი გახსენებიათ! ერთი სიტყვით, რვა თვე (თუ მეტი არა!) გასულია, რაც ეს პროფესორი ჯერ კიდევ იმედიანად არის და ცდილობს მინისტრთან შეხვედრას... ბოლო პასუხი ზემდგომთაგან ის არის, რომ მოადგილემ აღუთქვა, მე შეგვხვდებიო, ? სხვა რა გზა ჰქონდა და პროფესორი დათქმულ დროზე მივიდა დამბარებელთან, მაგრამ მინისტრის სრულიად ახალგაზრდა მოადგილე , როგორც მდივანმა აცნობა, ძალიან დაღლილა და განტვირთვის მიზნით ქალაქგარეთ წასულა! არა, ბოდიში კი დაუბარებია...

ეჰ, ჩვენი მინისტრები და ჩინოვნიკები გაზეთებს არ კითხულობენ, თორემ იქნებ სათაკილოდ ჩვენებოდათ თავიანთი საქციელი და სამომავლოდ მაინც ეზრუნათ მის გამოსწორებაზე... მე კი, ჩემდათავად, ვიტყოდი, რომ სანამ კაბინეტებში მოხვდებიან, მათ აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ზრდილობის (თუ ზნეობის?) გაკვეთილები! მაგრამ ვაი თუ, ზრდილობა თვითნაბადი ნიჭია და მისი სწავლა შეუძლებელია? ის კი ვიცი, რომ ზრდილობა ადამიანის ხასიათის მონაცემებში ერთ-ერთი საგანგებო და განსაკუთრებული თავისებურებაა, რომელიც ადამიანში არსებულ ნებისმიერ ნიჭიერებას, ცოდნას და განათლებას არამც თუ ალამაზებს და აკეთილშობილებს, არამედ მის გარეშე ძნელდება ინტელექტისა და რაიმე ტალანტის გამოხატვა. ზრდილობა ადამიანურობის გვირგვინია, რომლის გარეშე ისე უფასურდება ადამიანი, როგორც მეფე უტახტოდ და უგვირგვინოდ! თუ ყველაფერი ეს არ ესმის ადამიანს, ძნელია გააგებინო.

კარგი. ზრდილობა იქით იყოს და გავიხსენოთ სლოგანი „სამართლიანობა“, რომლის შეკვეთა მისცა ხალხმა შარშან, არჩევნებში, მომავალ მთავრობას. სამართლიანობისთვის და ადამიანის უფლებებისთვის თავდაუზოგავ ბრძოლას კი მართლაც უშურველად ჰპირდებოდა „ქართული ოცნება“ არსებული მთავრობის ძალადობის წინააღმდეგ აბობოქრებულ ხალხს. გავიდა ერთი წელი, ხალხის დიდი ძალისხმევით მოსული მთავრობის მოღვაწეობისა და... ვერ ვიტყვი, ყველა მთავრობა ერთნაირიაო, მაგრამ მათი მსგავსების უარყოფაც გაგვიჭირდება. სამართლიანობის აღდგენის თითზე ჩამოსათვლელი მაგალითებიც კი არა გვაქვს დღემდე! უსამართლობა კი არ იკლებს, პირიქით!

შემთხვევით ერთ სასამართლოზე მოვხვდი 2013 წლის ნოემბრის დასაწყისში, განაჩენი უნდა გამოეტანათ ვინმე თაღლითისთვის, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ ბინის მშენებლობა წამოიწყო თუ დაიბრალა. ხელშეკრულებები დაუდო ხალხს, ბანკის ანგარიშიც გახსნა, რაც მთავარია, ასაშენებელი სახლის პროექტიც მოაწესრიგა, ელექტროდენიც გაიყვანა, საძირკველიც გათხარა, ერთი მილიონი დოლარი აკრიფა ამ მშენებლობაში გაწევრიანებულთაგან და მერე აღმოჩნდა, რომ ვერც ვერაფერს აშენებდა, რადგანაც ეს ფული გაფლანგა, გააჩუქა თუ რა ვიცი (ამბობენ ნაციონალების პარტიას მოახმარაო)!.. გამწარებულმა ხალხმა (70 ოჯახი!) ის მოახერხა, რომ სამართალდამცველებმა დამნაშავე დაიჭირეს. იმ დღეს კი სასამართლოზე მას 4 წელი და 11 თვე მიუსაჯეს. არ გასულა სამი დღე და ხალხმა გაიგო რომ მოატყუეს, რომ თაღლითი პრეზიდენტმა თავისი პრეზიდენტობის ბოლო დღეებში, სასწრაფოდ, კომისიის განსჯის გარეშე შეიწყალა, აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტზეა საუბარი. კი ბატონო, დავაბრალოთ ყველაფერი ძველ პრეზიდენტს, მაგრამ 70 უფულო და უსახლკარო ოჯახს რა ეშველება?! ანდა ვინ იყო ის ერთი თაღლითი ისეთი, რომლის შეწყალებით 70 ოჯახი მატერიალურად და მორალურად დაისაჯა? ნუთუ ასეთი კანონებით ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობა დღემდე? **როდესაც უზნეობის, უსამართლობის და უზრდელობის ფაქტორებით გაჯერებული კანონებია ქვეყანაში, ასეთ ქვეყანას პრეზიდენტის შეცვლა უშველის კი?** ეს ერთი, მაგრამ მეორე და, შეიძლება, უფრო მთავარიც ადამიანობაა, ადამიანობა, რომლის ფორმულა ასეთია: **ადამიანი+ზრდილობა=ადამიანობას.** არ ვიცი, სხვაგან რა როგორ არის, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, როგორც კი ესა თუ ის პირი, გნებავთ პოლიტიკოსი, გნებავთ მეცნიერი და სხვა, ვითომ განათლებისა და ცოდნის მქონენი კაბინეტებში შევლენ ნებისმიერ ორგანიზაციაში, მთავრობაში, დაწესებულებაში და ასე შემდეგ, საოცრად გარდაიქმნებიან. უპირველეს ყოვლისა, ზრდილობას განუდგებიან. ამის შემდეგ თავიანთ მოვალეობებს და ვალდებულებებს დაივიწყებენ, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას და მათთან ურთიერთობის ფორმებსაც ზედ მიაყოლებენ. ისე იქცევიან, თითქოს ღმერთმა მოავლინა ისინი უზრუნველი და თავშეუწუხებელი ცხოვრებისთვის და არა ხალხმა – ხალხის მსახურებისთვის.

ძალიან გვიან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გავიგე და მივხვდი, რომ პოლიტიკა საქართველოში მეტად სარფიანი დარგია. თუ პოლიტიკოსის სახელს დაირქმევ, მერე, ამ გზით შეიძლება კაი თანამდებობასაც გამოკრა ხელი და თუ ჩინოვნიკი გახდი, რას ამბობ, რომელი მეცნიერი, პროფესორი და აკადემიკოსი დაგიდგება წინ! საერთოდ, **ჩვენში ზრდილობა და კეთილშობილება რა საჭიროა, მთავარია, თანამდებობა!**

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახლანდელი თაობის ახალგაზრდები ამიტომაც არიან აქცენტირებულნი თანამდებობებზე და არა ცოდნა- განათლებისაკენ. სკოლის დამთავრებისთვისაც კი ენანებათ დრო. პირდაპირ მინისტრობა უნდათ. რა უნდათ , ეს ერთი საკითხია, მაგრამ ამას რომ უმალ აღწევენ, ამ საჭირბოროტო საკითხზე არც არავინ დაფიქრებულა და არც არავინ მსჯელობს. რაც ზემოთ ვთქვით, შეიძლება ფიგურალურ გამოთქმებად ჩავთვალოთ, სკოლის დამთავრებისთანავე მინისტრად არა, მაგრამ სამინისტროებში კი ნამდვილად ეწყობიან სამუშაოდ. მერე იქიდან „ამთავრებენ“ არა მარტო ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, არამედ ევროპისასაც. ერთი ევროპული, პრესტიჟული სასწავლებლიდან მეორეში გადადიან. რომ ნახოთ ზოგიერთი მათგანის ავტობიოგრაფია (ახლა რატომღაც „სივს“ რომ ეძახიან), გაგიკვირდებათ. საწყალი თბილისის უნივერსიტეტდამთავრებული მათ რას შეედრება! მერე ეს პირტიტველები თანამდებობებზე ხვდებიან. ვინ კითხულობს, ან გამოცდილებას ან ასაკს. რაც უფრო ახალგაზრდაა, მით უფრო მეტი შანსი აქვს კაბინეტში შესვლისა და რბილ სავარძელში მოკალათების. იქიდან სულ სხვა თვალით უყურებს იგი ცხოვრებისეულ მოვლენებს და უკვირს გამოცდილი და პრაქტიკოსი მეცნიერი, ნებისმიერი დარგის სპეციალისტ-პროფესიონალი თუ წინადადებით მიმართავს და თავის თვალსაზრისს აუხსნის... გაამაყებული იმ წუთში აგრძნობინებს სტუმარს, როგორ მიბედავ და ჭკუასაც მასწავლიო. თუმცა, ჭკუის სწავლება კი არადა, ეს თავისი ცოდნა გამოამჟღავნა იმ დალოცვილმა და მოუსმინე, რა მოხდება, მაგრამ მოსმენა ხომ დიდი კულტურაა და ეს კულტურაც ხომ ზრდილობის შემადგენელი ნაწილია (კულტურები ბევრია, ზრდილობა კი ერთი)!

ვერ დავმალავ და სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, ვერც იმას დავმალავ, შიშმა რომ შემიპყრო: ღმერთმა დაგვიფაროს და, ვაი თუ, ეს მთავრობაც ძველს დაემსგავსოს?!

გულნარა სტურუა

◎ სატვირთო გადაზიდვები

ერთიანი ტარიფით

იმის მიუხედავად, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების მოცულობა დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდა, მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე მაგისტრალის მშენებლობისა და ნაწილობრივი რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, სპეციალისტები ამ მაჩვენებლის ზრდას პროგნოზირებენ.

მარაბდა-კარწახის მონაკვეთი გაცილებით დიდი სარკინიგზო მიმართულების ბაქო-ახალქალაქი-ყარსის ერთ-ერთი უბანია, ამდენად, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც ახლახან ყაზახეთის ქალაქ აქტაუში რამდენიმე ქვეყნის დიდი სარკინიგზო, საზღვაო და ლოჯისტიკური კომპანიების ხელმძღვანელებმა მიიღეს.

შეთანხმების თანახმად, ბაქო-თბილისი-ყარსის, ყაზახეთში კი ჯესკაგან-ბეინეუს სარკინიგზო მაგისტრალების მწყობრში სრულად ჩადგომის შემდეგ, ჩინეთიდან ყაზახეთამდე და შემდგომ თურქეთამდე სატვირთო გადაზიდვებზე ერთიანი კომერციული პირობები, მათ შორის გამჭოლი ტარიფები იქნება დაწესებული.

იმის გათვალისწინებით, რომ სატვირთო გადაზიდვები, როგორც სარკინიგზო, ასევე საზღვაო ტრანსპორტით განხორციელდება, შეთანხმებას სს ეროვნული კომპანიის „ყაზახეთ თემირ ჟოლის“, სს „ყაზმუნაიგაზის“, სს „ყაზმორტრანსფლოტის“, სს ეროვნული კომპანიის „აქტაუს საერთაშორისო სავაჭრო ნავსადგურის“, სს „აზერბაიჯანის რკინიგზების“, აზერბაიჯანის კასპიის სახელმწიფო სანაოსნოს, სს „კროსკასპიანოილ ენდ გაზ ლოჯისტიკისა“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელებმა მოაწერეს ხელი.

აქტაუს შეხვედრაზე განხილულ საკითხთა შორის დიდი ყურადღება დაუთმეს ტრანსკასპიის მიმართულებით ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების სამომავლო ინტენსიფიკაციას. გარდა ამისა, განიხილეს ყაზახეთის ნავსადგურ აქტაუში მშრალი ტვირთებისა და საკონტეინერო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი ორი ტერმინალისა და აზერბაიჯანის ალიტში ნავსადგურის მშენებლობების დაწყებასთან დაკავშირებით ტვირთების კონტეინერიზაციის საკითხი, რაც მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული მარშრუტით გადაზიდვებში მონაწილე ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვისაც. კომპანიების თავკაცებმა ტრანსკასპიის მიმართულებაზე სატვირთო გადაზიდვების განვითარებისა და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, სათანადო რწმუნებულებებით აღჭურვილი სამუშაო კომისიის შექმნაზე მოილაპარაკეს. კერძოდ, აღინიშნა, რომ **ტრანსკასპიურ სარკინიგზო მიმართულებაზე საჭიროა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მომსახურების გაუმჯობესება.** ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამგზავრი და პირდაპირი ტვირთების თურქეთიდან, ასევე შავი და ხმელთაშუა ზღვების სხვა ქვეყნებიდან, ანუ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გადაზიდვების საორგანიზაციო საკითხებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ კარგი დასაწყისი

ბიზნესი ხელშემწყობი საგენტოს იმედად...

ეკონომიკის სამინისტროში მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სააგენტო იქმნება. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დამწყები ბიზნესისთვის დაფინანსების მოპოვების გამარტივება იქნება. საქმე ისაა, რომ არასაკმარისი საბრუნავი საშუალების პირობებში ათი ახლადწამოწყებული ბიზნესიდან 8 ძალიან მალე წყვეტს მუშაობას.

ეკონომიკის სამინისტროში ეიმედებათ, რომ ახალი სააგენტო დამწყები ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივების საქმეში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის.

— ჩვენ მუშაობის მუდმივ რეჟიმში ვართ სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით. გავდივართ მუდმივ კონსულტაციებს ექსპერტებთან და უახლოეს მომავალში ეს გახდება საჯარო დოკუმენტი და შესაძლებელი იქნება უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა და ამ დისკუსიაში ჩართვა.

მსოფლიო ბანკის მეწარმეების წახალისების კვლევიდანაც ჩანს, რომ ქართულ ბიზნესში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში სიცოცხლისუნარიანობა არის საკმაოდ დაბალი. პირველ რიგში, რა მიზეზსაც უთითებენ, არის ის, რომ ძალიან ბევრი ბიზნესი ქვეყანაში წინასწარი კვლევის გარეშე ფუძნდება და ქართული კომპანიების უმრავლესობა არ დებს კვლევაში თანხებს, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული ბიზნესსაქმიანობისთვის, — აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთი ბოჭორიშვილი.

უკვე გადაწყვეტილია, რომ სააგენტო შეიქმნება შემდეგ წელს და მისი სერვისები მეორე კვარტალში იქნება ხელმისაწვდომი.

— შედეგი ერთ დღეში ვერ იქნება. ამ სააგენტოს მიზანი არის მეწარმეობის კულტურის დანერგვა და მეწარმეობის წახალისება. ეს იქნება მუდმივი პროცესი. ფინანსური ინსტრუმენტები მეორე კვარტლიდან ამუშავდება, — ამბობს ბოჭორიშვილი.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი კახა კოხრეიძე მიიჩნევს, რომ საქართველო არის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, სადაც საბაზრო ურთიერთობების აწყობა რეალურად ახლა იწყება. ამიტომ ახლადდაფუძნებული კომპანიები ხშირად ვერ ახერხებენ განვითარებას და ამაში განსაკუთრებული არაფერია. განვითარებულ ეკონომიკებშიც კი, „სტარტაპების“ 75 პროცენტი ვარდება.

— ყველას აქვს განცდა, რომ დღეს შეიძლება თანასწორობის პირობებში ბიზნესის კეთება. არ არსებობს პრივილეგირებული ჯგუფები, რომლებსაც სასათბურე პირობები ექნებათ. ყველას აქვს იმის სურვილი, რომ ახალი პროექტი წამოიწყოს. მოდის ახალი თაობა მეწარმეებისა, რომელთაც აქვთ სურვილი, რომ წარმატებული კომპანიები დააფუძნონ. სახელმწიფო კი მათ ხელს შეუწყობს. მოტივაციის ძალიან დიდი ტალღაა და საქართველოში დადგა თავისუფალი სამეწარმეო აქტივობის დრო, პერიოდი, რაც შესაბამისად უნდა გამოვიყენოთ“, — ამბობს კოხრეიძე.

ერთია, რომ მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სააგენტო იქმნება და მეორე კი ის, მიიღებს თუ არა კრედიტს ამ სააგენტოს ფარგლებში დამწყები ბიზნესი. როგორც ირკვევა, ეს ბანკების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. ეკონომიკის სამინისტრო კი ბანკებთან რისკების ნაწილობრივი გაზიარების მექანიზმით იმუშავებს.

„საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ჯერ განსაზღვრული არ აქვთ რა პორტფელით მიიღებენ პროექტში მონაწილეობას. ვაჟა მენაბდეს განმარტებით, სააგენტო ბანკის გადაწყვეტილებაში არ ჩაერევა, ხოლო პროექტების დასაფინანსებლად მთავარი კრიტერიუმი მსესხებლის გადახდისუნარიანობა იქნება. მისივე თქმით, მეწარმე უნდა ფლობდეს საკუთარ აქტივებს და უნდა ჰქონდეს გამოცდილება.

საკუთარი კრიტერიუმებით დააფინანსებს პროექტებს ბანკი „რესპუბლიკა“. როგორც ბანკის წარმომადგენელი აცხადებს, მათთან სააგენტოს გადმოგზავნილ სასესხო განაცხადებს ფინანსური ანალიზი ჩაუტარდება და შემდეგ პროექტი განსახილველად ბიზნეს საკრედიტო კომიტეტზე გავა. თუმცა, ჯერ არც „რესპუბლიკაში“ აქვთ გადაწყვეტილი რა პორტფელით მიიღებენ მონაწილეობას პროექტში.

გიორგი ბექაური

◎ რას არ გაიგებ!

იგორ გიორგაძე მინისტრად ვიღაც „კარგი სომხის“ თუ კარგი რუსის თხოვნით დანიშნულა

გაზეთ „რაო-რაო?“-ში გამოქვეყნდა უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკის, ექსპერტ ბესიკ ალადაშვილის ინტერვიუ (2013 წელი, №19), რომელშიც იგი აფხაზეთში ომთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის, მათ შორის, იგორ გიორგაძის უშიშროების მინისტრად დანიშვნის შესახებ. კერძოდ, იგი წერს: „შევარდნაძე არ მალავს, რომ იგორ გიორგაძე უშიშროების მინისტრად რუსეთის მოთხოვნით დაინიშნა, — რუსებმა დამირეკეს, იგორ გიორგაძის დანიშვნა კარგი იქნება, ურთიერთობა გაგვიადვილდებაო“.

ამ ფაქტს სულ სხვაგვარად გადმოგცემს თავად ედუარდ შევარდნაძე: „...უშიშროების უფროსად მინდოდა ავთო იოსელიანი... შემომიჩნდა ჯაბა იოსელიანი და სხვებიც, იგორ გიორგაძე დავნიშნოთო. ამაში რუსეთის ხელი ერია, ალბათ“, — წერს იგი და შემდეგ განაგრძობს, მათ დააყენეს იგორ გიორგაძის დანიშვნის საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე. მე წინააღმდეგი ვიყავი, საშველი არ მომცეს და დავნიშნე. „მაგრამ მაინც არ ვენდობოდი“ (იხ. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2010 წ. №9). ე.ი. შევარდნაძისათვის მოსკოვიდან ვინმეს კი არ დაურეკავს, არამედ უშიშროების მინისტრად ჯაბა იოსელიანის მოთხოვნით დაუნიშნავს: იგი დარწმუნებულიც კი არ ყოფილა იმაში, იგორ გიორგაძის დანიშვნაში რუსეთის ხელი ერია თუ არა.

იმ დროს ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი ზემოთ დასახელებულ ფაქტს ასე იგონებს: „ირაკლი ბათიაშვილი რომ გადადგა და ავთო იოსელიანი რომ დანიშნეს მინისტრად, იმ საღამოს ამ დანიშვნის ბანკეტის თამადა ვიყავი, — აცხადებს იგი და შემდეგ განაგრძობს, — მერე ვიღაცამ მითხრა, გიორგაძე დანიშნესო. დილით გავარკვიეთ ყველაფერი და მართლა იგორი დაუნიშნავს“. ავთანდილ მარგიანი იქვე გვამცნობს პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ, ერთ დღეში, თავისი გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზებს: „ედუარდ შევარდნაძესთან მივიდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, რომელსაც სოჭიდან სთხოვა ერთმა კარგმა სომეხმა კაცმა, იგორი დაგვინიშნეთ და ორი ბატალიონის შეიარაღებასა და აფხაზეთის პრობლემას მოგიგვარებთო! რა უნდა ექნა ედუარდს?“ აი, ასე ამართლებს მაშინდელი ვიცე-პრემიერი შევარდნაძის მიერ „ერთი კარგი სომხის“ თხოვნით ორი ბატალიონის შეიარაღებისა და აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საფასურად, უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე ერთი დღით დანიშნული ავთო იოსელიანის ნაცვლად, იგორ გიორგაძის დანიშვნას.

როგორც ვხედავთ, ყოფილი პრეზიდენტის, ყოფილი ვიცე-პრემიერის და უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკის ვერსიები, მსოფლიო ისტორიაში ამ უნიკალური ფაქტის შესახებ (ერთ დღეში პრეზიდენტი ვიღაც „კარგი სომხის თუ კარგი რუსის თხოვნით, თავისი ნების წინააღმდეგ, გადაწყვეტილებას ცვლის!), ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ, აუცილებელია, ამ უცნაური გადაწყვეტილების დაზუსტება, გარკვევა, რაც დღემდე არსებულ ბევრ ბუნდოვან კითხვას ნათელს მოჰფენს.

ვაჟა თვალავაძე

◎ ალიან-ჩალიანი

როდესაც „ცხელი თავები“ დაწყნარდებიან, მავთულხლართიც საჭირო არ იქნება

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსეთი-ნატოს კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

რუსეთის საგარეო უწყების პირველი პირი ამით ქართველი ჟურნალისტის კითხვას გამოეხმაურა, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივებს, ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების პოლიტიკას და ოკუპაციას ეხებოდა.

როგორც ლავროვმა განაცხადა, ზოგადად ნატოს გაფართოება, ცივი ომის ეპოქის მოძველებული და ინერციული ლოგიკის გაგრძელებაა.

— რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ განვითარებას. ჩვენ მოვისმინეთ და დავაფასეთ საქართველოს ახალი მთავრობის მიდგომები და ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობის პრაქტიკული განვითარება, სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში, კულტურის სფეროში, ჰუმანიტარულ სფეროში გრძელდება. ყველაფერი ეს იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ერთმანეთს გავუგოთ, მით უმეტეს, როცა ჩვენ გვაქვს მრავალწლიანი თანაარსებობის კარგი საფუძველი, სულიერი და ისტორიული სიახლოვე გვაკავშირებს და ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესები გაგრძელდება, - განაცხადა ლავროვმა.

რაც შეეხება მავთულხლართების საკითხს, რუსეთის პირველი დიპლომატი მიიჩნევს, რომ საზღვრები დაცული უნდა იყოს და დარღვევები ორივე მხრიდან უნდა აღიკვეთოს. „არსებობს წესები, რომლებიც მსოფლიო პრაქტიკას ასახავენ და ვფიქრობ, რომ მაშინ, როდესაც „ცხელი თავები“ დაწყნარდებიან, მავთულხლართიც საჭირო არ იქნება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ეჭვი შეიტანეს, რომ სააკაშვილი ცდილობს, რეიტინგი მაიდნის სარჯზე დაიბრუნოს

„ქართულმა ოცნებამ“ ექსპრეზიდენტს შესთავაზა, არ ჩაერიოს უკრაინის საშინაო საქმეებში

ცნობებმა იმის შესახებ, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თითქოსდა ჩავიდა კიევში უკრაინის ოპოზიციის დასახმარებლად, რაც საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა, მმართველი კოალიციის უკმაყოფილება გამოიწვია. „ქართული ოცნება“ ყურადღებით ადევნებს თვალყურს უკრაინის მოვლენებს, ხაზგასმით ცდილობს დაიცვას ჩაურევლობის პოლიტიკა. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნისთვის კარგი არ იქნება ის, რაც ცუდია

უკრაინელებისთვის.

— უკრაინასთან, მოლდოვასთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად ჩვენ გაცილებით ძლიერები ვიქნებით ევროინტეგრაციის პროცესში, — აღნიშნა მან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე 4 დეკემბერს გაფრინდა კიევში ეუთოს ქვეყნების საგარეოპოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრაზე, სადაც ამჟამად უკრაინა არის თავმჯდომარე. თავად სამიტი გაიმართება 5-6 დეკემბერს, თუ, რასაკვირველია, ევროპის წარმომადგენლები უარს არ იტყვიან უკრაინის დედაქალაქში ჩასვლაზე.

— იმედი გვაქვს, რომ იქ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება და მხარეები შეძლებენ უზრუნველყონ კონსენსუსი დიალოგის გზით, რამდენადაც ეს რთული არ უნდა იყოს, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა. — რასაკვირველია, ჩვენ შეშფოთებული ვართ, ვინაიდან კიევში უკვე არიან დაზარალებულები — როგორც დემონსტრანტების, ისე წესრიგის დამცველთა შორის.

საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც ქადაგებდნენ სააკაშვილის დროს. ათი წლისწინანდელი „ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგები და აქტივისტები მეტად შესამჩნევები იყვნენ უკრაინის მოედნებზე 2004 წელს, „ნარინჯისფერი“ მოვლენების დროს.

კიდევ უფრო ცოცხალია სხვა მოგონებები — 2010 წლის ზამთრის პერიოდი, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები. მაშინ უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა აკრედიტაციაზე მრავალრიცხოვან „ქართველ მეთვალყურეებს“. უკრაინამ ეჭვი შეიტანა, რომ ესენი იყვნენ ბოევიკები, რომლებსაც აგზავნიდნან კენჭისყრის ჩასაშლელად. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება არ მალავდა სიმპათიებს იულია ტიმოშენკოსადმი. მან არჩევნები წააგო, და ცხადი გახდა, რომ გამარჯვებული ვიქტორ იანუკოვიჩი, ვიქტორ იუშჩენკოსგან განსხვავებით, სააკაშვილის მეგობრად არ გამოდგებოდა და, მით უმეტეს, ნათლიად: იუშჩენკო საქართველოს ყოფილი ლიდერის უმცროსი ვაჟიშვილის ნიკოლოზის ნათლიაა.

ვერ მოხერხდა კონფუზის ჩაქრობა უკრაინიდან გამოგზავნილ „მეთვალყურეებთან“ დაკავშირებით იმავე 2000 წლის ზაფხულში, როდესაც 9 ივლისს თავად სააკაშვილი მოულოდნელად ჩავიდა კიევში, რათა მიელოცა იანუკოვიჩისთვის 60 წლისთავი. მაშინ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ შემთხვევით გაიგეს სტუმრის ჩამოსვლა. სააკაშვილი კიევში ყოფილ ელჩს გრიგოლ ქათამაძეს ავალებდა მოემზადებინა იანუკოვიჩის ვიზიტი თბილისში 2011 წელს. არ გამოვიდა. უფრო მეტიც, როდესაც 2008 წლის ომის შემდეგ უმაღლეს რადაში დაიწყო სკანდალები საქართველოსთვის უკრაინის შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებით, კიევმა თანდათანობით შეკვეცა აქტიური სამხედრო თანამშრომლობა თბილისთან.

2011 წლის ბოლოდან სააკაშვილი იწყებს უკრაინის ახალი ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის „დაზვერვას“, ხვდება ვიტალი კლიჩკოს ჯერ მარსელში, ევროპის სახალხო პარტიის სამიტზე, შემდეგ კიევში შარშან წლის ბოლოს.

ასე რომ, ინფორმაცია საქართველოს ექსპრეზიდენტის შესაძლო ჩასვლის შესახებ ამჟამად კიევში, მოულოდნელი არ ყოფილა „ქართული ოცნებისთვის“.

— იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ახერხებდა წინა ხელისუფლება „რევოლუციების ექსპორტს“, ვფიქრობ, სააკაშვილი შეიძლება შეეცადოს ამჟამად მოახდინოს თავისი პოლიტიკური რეაბილიტირება კიევში, ოღონდ, იქნება ის წარმატებული? — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანი მიროტაძემ. — არაფერი აქვს მას სააგიტაციო, ეს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეა. როგორც არ უნდა ვითარდებოდეს იქ მოვლენები, ყველაფერი უკრაინელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და არა სააკაშვილმა ან ვინმემ მისი გუნდიდან. თუ ექსპრეზიდენტი მართლაც კიევშია, მაშინ ეს უპასუხისმგებლო მოქმედებაა. ჩვენთვის ასეთი რამ მიუღებელია.

2 დეკემბერს თბილისში გაიხსნა სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) საპარლამენტო ასამბლეა, მაგრამ სხდომას ვადამდე დატოვებს უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელი, უმაღლესი რადის ვიცესპიკერი რუსლან კოშულინსკი (მემარჯვენე რადიკალური პარტია „თავისუფლება“). მისი სიტყვებით, მიზეზი — ეს არის კრიზისი მის სამშობლოში.

— ვითარება მეტად სახიფათოა, — თქვა კოშულინსკიმ და აღნიშნა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ანალოგიურ სიტუაციაში მინისტრთა კაბინეტი გადადგებოდა.

თბილისის გაზეთი „კვირის ქრონიკა“ 2 დეკემბერს იტყობინებოდა კიევში საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლის შესახებ, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა არ ჩნდება თავის სამშობლოში. სააკაშვილმა დატოვა საქართველო ახალი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელიც 17 ნოემბერს გაიმართა.

სტატიის ავტორმა, გამოცემის მიმომხილველმა ნინო სამხარაძემ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „ალბათ, სააკაშვილს განზრახული აქვს გაუზიაროს რევოლუციური გამოცდილება უკრაინის ოპოზიციის ლიდერებს“. თუმცა, უფრო ზუსტი ინფორმაცია საქართველოს ექსპრეზიდენტის გეგმებზე კიევში და მისი შეხვედრების შესახებ იქ — არ არის. სააკაშვილთან ერთად, როგორც სამხარაძე ამტკიცებს, იქ იმყოფება აჭარის ყოფილი ლიდერი ლევან ვარშალომიძე — საქართველოს ექსხელმძღვანელის თანაკურსელი კიევის უნივერსიტეტში. ამას გარდა, იქ თითქოსდა დაინახეს სააკაშვილის ბებია მზია წერეთელი.

ბოლო მონაცემებით, ექსპრეზიდენტი მანამდე, ბოლო დღეების განმავლობაში იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის უფროს შვილთან, რომელიც იქ სწავლობს. მისი მეუღლე ჰოლანდიელი სანდრა რულოვსი უმცროს შვილთან ერთად თავის სამშობლოშია. 1 დეკემბერს სოციალურ ქსელებში რულოვსმა დაწერა, რომ სააკაშვილი „გრძნობს, რომ ქართველმა ხალხმა ცოტა უნდა დაისვენოს მისგან“. ამავე დროს, მისი მტკიცებით, სააკაშვილი „აღსავსეა ენერგიით, არ იღლება“.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

„ჟენევა-2“ შეიძლება ჟენევაში არ გაიმართოს. ცდილობენ, ასადი არ დაუშვან კონფერენციაზე, როგორც სამხედრო დამნაშავის დადასტურების არსებობის შესახებ

გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების დარგში ნავი პილაიმ განაცხადა ასადის რეჟიმის, როგორც სამხედრო დამნაშავის დადასტურების არსებობის შესახებ. აქამდე ორგანიზაციაში საჯაროდ არ უკავშირებდნენ ამას პირადად ასადს. დამასკოში ასეთი რეაგირება გააკეთეს: პილაი „უკვე დიდი ხანია სისულელეებს როშავს“.

სასამართლომ ობამას ბიძას, რომელიც 20 წელზე მეტია, არალეგალურად ცხოვრობს აშშ-ში, ნება დართო დარჩეს ქვეყანაში

ონიანგო ობამა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა კენიიდან 1963 წელს, 17 წლის ასაკში, ქალაქ კემბრიჯის ელიტურ სკოლაში სასწავლებლად. მას ქვეყანა უნდა დაეტოვებინა 1970 წლის ბოლომდე, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. ამერიკის სასამართლოს არაერთგზის მიუღია გადაწყვეტილება ობამას დეპორტაციის შესახებ, უკანასკნელად ეს მოხდა 1992 წელს.

კიევში მანიფესტანტები სამთავრობო შენობასთან შეიკრიბნენ. აზაროვმა საბაბი პროტესტებისთვის „ამოწურულად“ გამოაცხადა

პარტია „თავისუფლების“ დაახლოებით 1,5 ათასი მომხრე ახდენს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის პიკეტირებას, სადაც უნდა გაიმართოს მთავრობის მორიგი სხდომა. კონსტიტუციის მოედანზე უმაღლესი რადის წინ ოთხშაბათს მიმდინარეობდა აქცია პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდასაჭერად. შინაგანი ჯარები და „ბერკუტი“ იცავენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობას ბანკის ქუჩაზე.

კერძო კომპანია SPACE X-მა ორბიტაზე გაუშვა პირველი კოსმოსური თანამგზავრი რაკეტა FALCOB-ის მეშვეობით

კალიფორნიის ფირმას, რომელმაც აითვისა თანამგზავრების გაშვება მაღალ ორბიტებზე, შეუძლია გამოიწვიოს ამგვარ მომსახურებათა არსებული ბაზრის სერიოზული გადაკეთება. რაკეტმზიდი Falcob ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე რუსეთული „პროტონები“ და ოთხჯერ უფრო იაფი ევროპულ Ariane-ზე.

◎ კვალი დროში

მის ღვაწლს არ დაივიწყებენ

კონსტანტინე ბეთანელი-80

ცნობილ მეცნიერს სამთო დარგში, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ღვაწლმოსილ მკვლევარს, კეთილ შობილებითა და ნიჭიერებით გამორჩეულ პიროვნებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **კონსტანტინე ბეთანელს** 24 ნოემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა.

კ. ბეთანელი დაიბადა ქ. თბილისში, პედაგოგისა და ინჟინრის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და მიენიჭა სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია.

1959-1979 წწ. ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ მუშაობდა ქ. მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა. სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში, ჯერ უმცროსი, შემდეგ, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ კი მომავლის საწარმოთა ლაბორატორიის გამგის თანამდებობებზე. ამავე ინსტიტუტში კ. ბეთანელმა მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქვანახშირის მრეწველობაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მომავლის შახტების პრობლემებზე, 1975 წელს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, კ. ბეთანელი 1979 წელს გადმოიყვანეს თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, რომელიც შეიქმნა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით და სადაც მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მუშავდებოდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემები ძირითადი მიმართულებების პროგნოზირებასთან ერთად. ეს გახლდათ ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოების კომპლექსი, რომლის შესრულებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაცია.

1979-1983 წ.წ. კ. ბეთანელი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მარგი წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის პროფესორად. 1981 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. იყო 150-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.

1988 წელს პროფესორი კ. ბეთანელი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; ასევე არჩეული იყო რუსეთის სამთო აკადემიის საპატიო წევრად.

ბატონი კონსტანტინეს ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში მომზადდა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორ კ. ბეთანელის მოღვაწეობა აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, მათ შორის – ღირსების ორდენით. მისი მაღალი ერუდიცია და კვლევათა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიყენებოდა ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ობიექტებზე. ბატონი კონსტანტინე ბეთანელის ღვაწლს არ დაივიწყებს საქართველოს საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოება და მეცნიერთა ფართო წრე, რომლებსაც დააკლდა მასთან საქმიანი და ადამიანური ურთიერთობა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

◎ გვეხმაურებიან

ისტორიული ძეგლები „შველას“ ითხოვენ

„საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 3 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი, დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნების თაობაზე. მიმართვას, მეორე მიმართვა უნდა მოჰყვეს – პრემიერთან შეხვედრის თხოვნით.

ერთია, გაზეთში გამოქვეყნებული მიმართვა (მას ან წაიკითხავს ან არა) და მეორეა პირადი საუბარი, რომლის დროსაც გამოჩნდება, იქნება თუ არა ის, ამ საკითხის გადაწყვეტისთვის მზად. პირად საუბარში გაცილებით იოლად დასაბუთდება ნაცთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ქმედება.

ნაცთა გადაწყვეტილება იმიტომ კი არ მოითხოვს რევიზიას, რომ ის ნაცთა მიერ არის მიღებული, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტება აღდგეს. დავით აღმაშენებლის ძეგლი ორგანული ნაწილი იყო დედაქალაქის გულისა. დედაქალაქის გული კი მთელი საქართველოს გულია. სწორედ მისთვის შექმნა მერაბ ბერძენიშვილმა შესანიშნავი ქმნილება და არა ქალაქის განაპირა ადგილისთვის.

დიდი მეფის ძეგლი ქართველთათვის მარტო ძეგლი არ არის. ის ერის სიძლიერის, სუვერენიტეტის, მარადისობის სიმბოლოა და რახან ასეა, ის ქალაქის ერთ-ერთ შემოსასვლელში კი არა, გულში უნდა იდგეს. ჩემი აზრით, „მეოცნებე“ ხელისუფლებას, შეხსენების გარეშე, უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ...

ძეგლის დაბრუნებასთან ერთად აუცილებელია „მელიქ აზარიანცის“ შენობის რესტავრაცია და მისი უკანა ნაწილის წესრიგში მოყვანა. რამდენი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ამ ქვეყანაში, რომ უპატრონოდ მიტოვებული შენობის აღდგენა მოხდეს?

გაცილებით ადრე რომ დაწერილიყო ეს მიმართვა, თუნდაც ნაცთა დროს, როდესაც ძეგლი გადაჰქონდათ, უკეთესი იქნებოდა, ვინაიდან, მცირედი მხარში დგომა გაამხნევებდა ძეგლთან შეკრებილ ხალხს, თემურ შაშიაშვილის თაოსნობით. არ გაჭრა მისმა მოწოდებამ – ძეგლის დაცვის მიზნით ქუდზე კაცი გამოდითო.

საზოგადოების ინდიფერენტულობამ დაარწმუნა ნაცები საკუთარ უძლეველობაში. დაინგრა ძველი და აშენდა ახალი – უგვანო და მიუღებელი, ძველი ქალაქისთვის ერთობ შეუფერებელი – უფუნქციო ხიდი, ლითონის მილები, იუსტიციის სახლი, გმირთა მოედნის ურჩხული ესტაკადა, შუაში ამოზრდილი სვეტით – შიფერის მსგავს მასალაში გახვეული. და ამ სიმახინჯეში სადღაც, გორაკის ძირში, სრულიად შეუფერებელ ადგილას, პრიმიტიული თეთრი კედელი – აფხაზეთში დაღუპულთა სახელებით.

გუშინდელი, დღევანდელი და გუშინწინდელი ხელისუფლება პატიჟებდა და პატიჟებს ყველა უცხოელ სტუმარს მემორიალის გვირგვინით შესამკობად – ავტომანქანების გამაყრუებელ ხმაურსა და აუტანელ გამონაბოლქვში.

დაღუპულთათვის პატივის მიგება სიმშვიდის ატმოსფეროში, შესაბამის გარემოში უნდა ხდებოდეს და არა იქ, სადაც ეს ხდება.

გვქონდეს გმირთა მემორიალი და მაინც პრიმიტივიზმისკენ მივექანებოდეთ, ჩვენსავე პრიმიტიულობას ხომ არ უსვამს ხაზს?

მერაბ ბერძენიშვილის მარჯვენამ შესანიშნავი გმირთა მემორიალი შექმნა ვაკის პარკში, რომელიც ხელისუფლების წყალობით დავიწყებას მიეცა, ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა და იქვე მიეჩინა ადგილი აფხაზეთში დაღუპულთათვის, „გმირთა“ მოედანი ამოირჩია. გმირთა მოედანს ვამბობ, თორემ რა უგავს მას მოედანს?

დიდ სამამულო ომს ახალი ქართველობა არ ცნობს – ჩვენი ომი არ იყოო, ამბობს. ამიტომაც ააფეთქა გმირთა მემორიალი ქუთაისში – მდუმარე ხალხის წინ... მდუმარე ხალხის წინ ახალმა გურულებმა, გურიისა და საქართველოს გმირი გენერლების ლესელიძის, ჩანჩიბაძის, სხვათა ბიუსტები აიღეს და მათ ადგილას ტუალეტი ააშენეს. მდუმარე თბილისელების თვალწინ გაიძარცვა და გაპარტახდა ვაკის პარკში არსებული მემორიალი. მდუმარე გორელებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს სტალინის წაქცეულ ძეგლს.

ნადგურდება არა მარტო ძეგლები, არამედ ძეგლად ქცეული შენობა-ნაგებობები. ამ ხელისუფლებამ რიხით განაცხადა, „მიხაილოვის“ საავადმყოფოს შენობის ყოფნა-არყოფნის თაობაზე. კვირიკაშვილმა ბრძანა – „პლეხანოვის“ გამზირს თანამედროვე სასტუმრო დაამშვენებსო. კეთილი, მაგრამ ამ ვიწრო ქუჩაზე სასტუმრო, თანაც „ვარსკლავებში“ , რამდენად მოსახერხებელი იქნება?

თავის დროზე „პლეხანოვზე“ იყო სასტუმრო „რუსთავი“, რომელიც გაიყიდა და მას შემდეგ სრულიად უფუნქციოდ დგას. არავინ ინტერესდება უნიკალური შენობის ბედით, ისევე როგორც არ ინტერესდებოდა ყოფილი კინოთეატრის „აპოლოს“ ბედით. კიდევ კარგი ვიღაცა დაინტერესდა ამ შენობით, უფრო სწორად, კულტურის სამინისტრო. იქნებ, რამე ეშველოს?

მიტოვებული შენობების რაოდენობა თვალშისაცემია, თანაც ეს ისეთი შენობებია, რომელთა მსგავსს დღეს ვერ ააშენებენ. ავიღოთ თუნდაც კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობა. შემოღობეს, ძონძები ჩამოაცვეს და ამით მორჩა რეკონსტრუქცია. შენობა ჩვენს თვალწინ ინგრევა, ისევე როგორც „იმელის“ უნიკალური შენობა. გაუგებარია თბილისის ყოფილი უნივერმაღის ბედიც, რა ხანია ეს შენობა „ბამბანერკასავით“ დოლბანდშია გახვეული. არც არავის აწუხებს მისი მომავალი, ისევე, როგორც „თავისუფლების“ მოედანზე გამოშიგნული, „ცეკავშირის“ ყოფილი შენობა.

როგორც იქნა საშველი დაადგა პარლამენტის შენობის წინ არსებული თავისუფალი სივრცის გამოყენების საქმეს. იქ ბიზნესმენი ჯოხთაბერიძე თანამედროვე მხატვრების ნამუშევართა საგამოფენო სახლს აგებს. მშენებლობა დაწყებულია და ვიდრე გვიან არ არის, იქნებ ნაცვლად ჩანაფიქრისა, მომავალ შენობაში ადგილი დაედოს ხელნაწერთა ინსტიტუტს, თავისი უნიკალური საგანძურით?

ერი, რომელიც თავის ისტორიას პატივს არ სცემს, სხვისგან პატივისცემას არ იმსახურებს.

წარსულისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ყველა ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი. გამსახურდიამ „იმელის“ შენობის ფასადზე არსებული თ. აბაკელიას ნახელავი ბარელიეფები გაანადგურებინა, შემდეგ პარლამენტის შენობის ფასადზე, ქვაში ამოტვიფრული საბჭოური სიმბოლიკა ჩაქუჩებით ამტვრევინა.

„მეოცნებე“ ხელისუფლებამ თავისი უარით, შეიძლება პრეზიდენტის სასახლე გაანადგუროს, პრეზიდენტის სასახლე ღარიბ ქვეყანას არ შეეფერებაო და ამერიკულ-ქართულ უნივერსიტეტს გადაულოცა. რა არასერიოზულობაა! შენობამ რა დააშავა? ეს სასახლე პრეზიდენტისთვის იყო აგებული და არა სააკაშვილისთვის. შენობის პროფილის შეცვლას, უდავოდ მოჰყვება ხარჯები, შენობის „გაუპატიურება“.

ძეგლებისადმი, ძველი და ახალი შენობა-ნაგებობებისადმი ცუდი მოპყრობა ნამდვილად არ მეტყველებს ერის განსწავლულობაზე. ის სხვა რამეზე მიანიშნებს...

ჰამლეტ ჭიპაშვილი.

◎ ალიან-ჩალიანი

დოქტორანტებს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დააფინანსებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 60 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სწავლის გადასახადს, სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას დაუფინანსებს.

როგორც თსუ-დან იტყობინებიან შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისთვის წელს პირველად გასცა სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება.

– კონკურსის შედეგად კვლავ ლიდერობს თსუ. დაფინანსებული 135 დოქტორანტიდან 60 თსუ-ის სტუდენტია, რაც საერთო დაფინანსებული განაცხადების 44% შეადგენს. გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტია 902 197 ლარი. სტუ-დან დაფინანსდა 37 დოქტორანტი (საერთო დაფინანსებული განაცხადების 27%, პროექტების ჯამური ბიუჯეტით 417 998 ლარი), ილიაუნიდან 17 დოქტორანტი (საერთო დაფინანსებული განაცხადების 13%, პროექტების ჯამური ბიუჯეტით 280 292 ლარი), – აცხადებენ თსუ-ში.

ინტერპრესი

◎ ხელბურთი

ორი მოგება სამი მარცხის წილ

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მოწვევით ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი მაია კარბუნარი 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა ნაკრებს უდგას სათავეში და თბილისის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ამზადებს. ჩვენი სპორტსმენები (ქრისტინე ჯავახია (ფოთი), თინათინ ყაველაშვილი („პეგასი“), თათია გადელია (ფოთი), თეონა ჯაღათაშვილი („მამული“), ანა ყველაშვილი („მამული“), ქრისტინე ღვალაძე („მამული“), მედეა ჩოხელი („პეგასი“), თამარ გიორგაძე („მამული“), ნინო გაბისონია („მამული“), სოფი ნარიმანიძე („მამული“), ნინო სიხარულიძე (ფოთი), მაია ბერიძე, თამარ ჩოგოვაძე, ქეთი ვენეცკი (სამივე — „პეგასი“), მთავარი მწვრთნელი მაია კარბუნარი, მწვრთნელი ელისო ჟურულიშვილი) ამას წინათ უკრაინას ეწვივნენ, სადაც ჯერ კიევის მახლობლად ბროვარის ოლიმპიური რეზერვის სკოლის თანატოლებს სძლიეს — 29:23, შემდეგ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და ერთი წლით უფროს მეტოქეებთან - უკრაინის, ზაპოროჟიეს და ბელარუსის გუნდებთან სამივე მატჩი დათმეს. ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენები კიდევ ორი დღე დარჩნენ ბროვარიში სავარჯიშოდ და ადგილობრივ თანატოლებსაც მეორედ დაუპირისპირდნენ. უპირატესობა ამჯერადაც ქართველების მხარეს იყო, რომლებმაც ეს ორთაბრძოლა 27:21 მოიგეს.

გივი გაგუა

◎ მშვილდოსნობა

„არენაში“ თბილისის თასი გაითამაშეს

სასპორტო კომპლექს „არენაში“ თბილისის თასი გათამაშდა მშვილდოსნობაში. საასპარეზოდ 30-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. ეს შეჯიბრება ზამთრის ტურნირებისთვის მზადებას ისახავდა მიზნად და ამიტომ ჩუბინები 18-მეტრიან დისტანციაზე ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ქალებში ტოლი არ ჰყავდა საქართველოს ნაკრების წევრ ქრისტინე ესებუას, რომელმაც 561 ქულით საკვალიფიკაციო ეტაპიც მოიგო და პლეი ოფშიც ყველა დაჯაბნა. ფინალში მან თეონა კუტალაძე დაამარცხა, რომელიც შესარჩევშიც მეორე იყო. ბრინჯაოს მედალი თეონა არჯევანიძემ მოიპოვა. უმცროსი ასაკის გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო ჯვარშეიშვილი, 2. მარინა ჩუმაჩენკო, 3. ვერიკო მაკიევი.

ვაჟები. უფროსი ასაკი. 1. გიორგი პოპიაშვილი, 2. ბექა მუმლაძე, 3. გიორგი მეჟუევიძე. **უმცროსი ასაკი.** 1. ზურაბ მესტვირიშვილი, 2. ვლადიმერ დოლიძე, 3. დავით მიხელიძე.

ლექსო ცინცაძე

◎ თანამშრომლობა

კომპანია „ნატახტარმა“ კალათბურთის ფედერაციასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ახალი 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, „ნატახტარი“ ნაკრების გენერალური სპონსორი კიდევ 2 წლის განმავლობაში იქნება. შეგახსენებთ, რომ „ნატახტარი“ უკვე 3 წელიწადია ნაკრების სპონსორია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„ლაციოს“ ქომაგებს დანები, კასტეტები და ნაჯახი აღმოაჩნდათ

უეფას ევროპის ლიგის მე-5 ტურში ვარშავის „ლეგიასა“ და რომის „ლაციოს“ მატჩის (0:2) შემდეგ პოლონურმა პოლიციამ 150 იტალიელი გულშემატკივარი დააკავა. ამის შესახებ პოლონური მედია იუწყება.

იტალიელი „ულტრასები“ ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილი და ადგილობრივ სამართალდამცავებს ქვებთან ერთად ბოთლებს ესროდნენ. შეტაკების დროს არავინ დაღუპულა, მაგრამ სტუმარმა ქომაგებმა პოლიციელის ავტომანქანა დააზიანეს. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავებმა იტალიელებს 14 დანა, კასტეტები და ნაჯახიც კი ჩამოართვეს.

იტალიის საელჩოს ჩარევის შემდეგ რომაელ გულშემატკივრებს სამშობლოში კვირის ბოლომდე დააბრუნებენ.

გიორგი შოთაძე

◎ წყალბურთი

უფროსებს ბოლომდე ვერ გაუმკლავდნენ

პოლონეთის დედაქალაქში წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირ „ვარშავის თასზე“ 1996 წელს დაბადებულ ბიჭებს უნდა ეასპარეზათ. მიწვევა საქართველოს 15-წლამდელებმაც მიიღეს, თანხმობაც განაცხადეს, რადგან ორი წლით უფროსებთან პაექრობა ჩვენი გუნდისთვის (ნიკა ლეთოდიანი, ნიკა ჩხიკვიშვილი, გიორგი მესხი, გიორგი ღავთაძე, გიორგი ადეიშვილი, მიხეილ გვენცაძე, გიორგი თეთრაძე, რევაზ კომახიძე, ნიკოლოზ შუშიაშვილი, ნიკა ცანკაშვილი, ნუგზარ სეფისკვერაძე, მწვრთნელები — ირაკლი კიკალიშვილი, ოთარ ქოიავა) ერთგვარი გამოწვევაც იყო. ვარშავაში ჩასულ ქართველებს ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოუმზადეს - 1994 წელს დაბადებული სპორტსმენები დაახვედრეს. სულ ხუთი გუნდი იბრძოდა მთავარი პრიზისთვის: ვარშავის ორი, ჰანოვერის ერთი გუნდი, სტოკჰოლმის კლუბი და საქართველოს ნაკრები.

ასაკში დიდი სხვაობის მიუხედავად, ჩვენმა ბიჭებმა მასპინძლებთან ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს 16:13 და 26:8. მესამე წრეში გერმანელებთან 10 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ, ბოლო მატჩი სტოკჰოლმთან 11:12 დათმეს და მე-4 ადგილი დაიკავეს. პირველი-მესამე ადგილები სტოკჰოლმის კლუბმა, ჰანოვერმა და პოლონეთის პირველმა გუნდმა გაინაწილეს.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ჰიუიტს ნიუკომბის თასი ჯონმა გადასცა

32 წლის ლეიტონ ჰიუიტმა ავსტრალიის უმაღლესი საჩოგბურთო ჯილდო — ნიუკომბის მედალი დაიმსახურა. პლანეტის ექსპირველი ჩოგანი აგრეთვე „მწვანე კონტინენ-

ტის“ წლის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს. გამოკითხვისას ლეიტონმა სამანტა სტოსურს, ბერნარდ ტომიჩს, ნიკ კირგიოსსა და კეისი დელაკუა-ჰეშლი ბარტის წყვილს აჯობა.

მიმდინარე წლის დასაწყისში ჰიუიტი რეიტინგსიის ასეულს მიღმა იყო, სეზონი კი მე-60 პოზიციაზე დაასრულა. ლეიტონის წლევანდელ აქტივში ნიუპორტის ტურნირის ფინალში, ატლანტასა და ლონდონში ნახევარფინალში, აშშ-ის ღია პირველობაზე კი მეოთხე წრეში გასვლაა.

ჰიუიტს ჯილდო თავად ჯონ ნიუკომბმა გადასცა და საზეიმო ცერემონიალზე შემდეგი განაცხადა: „ლეიტონისთვის თასის გადაცემა ჩემთვის დიდი პატივია. მან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. გადატანილი ქირურგიული ოპერაციის შემდეგ არავინ მოელოდა კორტზე ჰიუიტის ესოდენ წარმატებულ დაბრუნებას. იგი სარბიელზე არასდროს გადის ვალის მოსახდელად და ყოველთვის მონდომებითა და საკუთარი თავისადმი რწმენით თამაშობს. ყველა ჩვენთაგანისთვის სამაგალითოა ავსტრალიის ნაკრების სახელით დევისის თასზე ჰიუიტის ასპარეზობა. ლეიტონი მაშინ გავიცანი, როცა 15 წლისა იყო და იმთავითვე ვიწინასწარმეტყველე, რომ მისგან ექსტრა-კლასის მოთამაშე დადგებოდა. ტონი როჩთან ერთად ლეიტონი დევისის თასის განაცხადში შევიყვანეთ. არც შევმცდარვართ. არჩევანმა გაგვიმართლა, თუმცა მაშინ მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჰიუიტი ავსტრალიელ ჩოგბურთელთაგან ყველაზე მეტხანს იქნებოდა რეიტინგსიის ლიდერი“.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

„კდემამოსილი“ კარლა ოსა

კოლუმბიელი მოდელი კარლა ოსა ირწმუნება, რომ თავის დროზე თვით დიდი რადამელ ფალკაო უჟუჟუნებდა თვალებს, მაგრამ როგორც მამაკაცი დიდად არ მომეწონა და მის შემოთავაზებებზე მტკიცე უარი განვაცხადეო.

თავის მხრივ კი რადამელ ფალკაო იფიცება — კარლა ოსა თვალითაც კი არ მყავს ნანახი და ჩემთან დაკავშირებული მისი სიტყვები სრული სისულელე და შემზარავი აბსურდიაო. რა თქმა უნდა, რთულია გაიგო ამ ორი ადამიანიდან რომელია მართალი.

მით უმეტეს, რომ რადამელს მექალთანის სახელი აქვს გავარდნილი, კარლა ოსას კი აქამდე არაერთი პარტნიორი გამოუცვლია. სხვათა შორის, კარლა ოსა რამდენიმე წლის წინათ „მის კოლუმბიადაც“ დასახელდა და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მის თანამემამულე რადამელ ფალკაოს ამ ქალის სახელი გაგონილი მაინც არ ჰქონდეს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ბუნება მბრძანებელია!..

უამინდობა საქართველოში რამდენიმე დღე გაგრძელდება

აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მაღალ მთაში დიდთოვლობაა. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განაცხადა, ძლიერი ქარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთი დღე შენარჩუნდება. ქარის სიჩქარე 20-25 მეტრ წამიდან 17-22 მეტრ წამამდე შემცირდება, დღეს კი თანდათან შესუსტდება.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა ღამით -2 -3 გრადუსი იქნება. უფრო დაბალი ტემპერატურაა მოსალოდნელი

აღმოსავლეთ საქართველოში. მაღალმთასა და მთაში თოვლი შენარჩუნდება. კერძოდ, თოვს გუდაურში, ბაკურიანში, ფასანაურსა და რიკოთზე.

შიდა ქართლში ღამით ჰაერის ტემპერატურა -5 გრადუსი იქნება, თბილისში 0 -1, 0 -1 — კახეთში.

ამასთან, ყინვები, მშრალი და ცივი ამინდები 6 დეკემბერსაც შენარჩუნდება. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით -6-1 გრადუსია მოსალოდნელი; -8-6 — შიდა ქართლში; -4; -2 კახეთში; თბილისში 0 -2.

5-6 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში -2-3 გრადუსი იქნება, მათ შორის კოლხეთის დაბლობზე -1-3 გრადუსი.

უნალექო ამინდები საქართველოში 8 დეკემბრამდე შენარჩუნდება, შემდეგ ამინდი ისევ შეიცვლება.

უამინდობით გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, „112“-ში 36 464 ზარი აღირიცხა.

როგორც შსს-ს „112“-ის დეპარტამენტიდან იტყობინებიან, სულ შეიქმნა 6106 საქმე და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაუყოვნებლივ გაიგზავნა შესაბამისი ეკიპაჟები, დარჩენილი ზარების ნაწილი კი საკონსულტაციო ხასიათს ატარებდა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 429, ხოლო თბილისის მასშტაბით 190 შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, აჭარაში — 37, გურიაში — 7, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 9, იმერეთში — 264, რაჭა-ლეჩხუმში — 5, შიდა ქართლში — 39. სამცხე-ჯავახეთში — 32, მცხეთა-მთიანეთში — 11, ქვემო ქართლში — 9, ხოლო კახეთში — 16.

უამინდობის შედეგად დაშავდა რამდენიმე ადამიანი და გარკვეული სახის მატერიალური ზარალი მიადგა მოსახლეობას.

◎ ინფორმაცია

მოუვლის კი სუბარი კრიმინალურ ავტორიტეტებს?

როგორც სუბარმა განაცხადა, აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას ახალი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს, რომლის მშენებლობაც დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

„იმისთვის, რომ მანკიერი ტრადიცია, რაც საუკუნეების განმავლობაში მოსდევს პენიტენციურ სისტემას, სრულად აღმოიფხვრას, საჭირო ა ახალი ინფრასტრუქტურის აშენება და გაუმჯობესება, რომელზეც დაჩქარებული ტემპით ვმუშაობთ. ეს საბოლოოდ გამოიწვევს ამ კრიმინალური კულტურის მიმდევრების განცალკევებას სხვა ტიპის მსჯავრდებულებისაგან, რაც სწორედ ციხეებში ამ კულტურის საბოლოო აღმოფხვრის მანიშნებელი იქნება. ციხეებში ეს პრობლემა ყოველთვის იყო, დღეს არის გაცილებით ნაკლები, ვიდრე — ადრე. თუმცა, საბოლოოდ აღმოფხვრა მოხდება მაშინ, როცა ინფრასტრუქტურა ბოლომდე გაიმართება, აქამდე კი დარჩენილია მხოლოდ თვეები, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე შეფასებით, მთავარი დაპირება, რომ პენიტენციური სისტემა გახდებოდა ადამიანური, უკვე შესრულებულია. ამასთან, მინისტრი მიესალმება ადამიანის უფლებების კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიის შემუშავების გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ ის ადამიანის უფლებების დაცვას მოაქცევს ძალიან მკაფიო ჩარჩოებში.

ბათუმის მერიის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

სამართალდამცველებმა ქრთამის აღების ფაქტზე ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გივის ძე ქათამაძე დააკავეს.

მისი აყვანა ქრთამის აღების ფაქტზე მოხდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა ქ.ბათუმის ბულვარში არსებული ღია თეატრის მიმდებარე ტეროტორიაზე ქვის ფილების დასაგები სამუშაოების ხარვეზით, ვადაზე ადრე ჩაბარების და აღნიშნულ საკითხში სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ შემსრულებელს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 3 300 ლარი. სამართალდამცველებმა გოჩა ქათამაძე ქრთამის აღების ფაქტზე 3 დეკემბერს დააკავეს, — აცხადებენ შსს-ში.

გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო. დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

სულთათანა

ირინე მელიქიშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ირინე მელიქიშვილი**.

ირინე მელიქიშვილი დაიბადა 1943 წლის 29 მაისს ქ. თბილისში ცნობილი მეცნიერების — აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილისა და პროფესორ ელენე დოჩანაშვილის ოჯახში. მან 1960 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, 1960-1965 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე. იყო ლენინის სახელობის სტიპენდიატი, წარჩინებით დაამთავრა საუნივერსიტეტო კურსი.

ირინე მელიქიშვილმა სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში დაიწყო. აქ მუშაობდა იგი 1965-1986 წლებში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს და ბოლოს უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. აქვე მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში“. საყურადღებოა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ორივე ოპონენტის (აკად. თ. გამყრელიძე და პროფ. ზ. ჯაფარიძე) აზრით, ნაშრომი მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს იმსახურებდა. ასევე წარმატებული იყო მისი სადოქტორო დისერტაციაც — „საერთო-ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით“ (1987), ამ ნაშრომში წარმოდგენილია ძირის სტრუქტურათა ზოგადი ტიპოლოგია, რეკონსტრუირებულია საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურა, გამოვლენილია საერთო-ქართველური და საერთო-ინდოევროპული ძირის სტრუქტურათა ფუნდამენტური პარალელიზმი. ი. მელიქიშვილის მიერ წარმოჩენილი კანონზომიერებანი საფუძვლად დაედო საერთო-ინდოევროპულ ხშულთა სისტემის და საერთო-ქართველური სისტემის რეინტერპრეტაციას.

1986 წლიდან ირინე მელიქიშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიისა და ფონეტიკის განყოფილებაში, ჯერ წამყვან, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; 2000 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 2000-2005 წლებში იყო ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, 2005-2006 წლებში — კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, 2006 წლიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი.

2009 წლის 28 აპრილს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ფართო იყო ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო: ენათა ტიპოლოგიური შედარება და ენობრივი უნივერსალიები, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, არეალური ლინგვისტიკა, ქართველური ენების ტიპოლოგია და ისტორია. პარალელურად მას აქვს საყურადღებო გამოკვლევები ზოგადი ენათმეცნიერების სხვა სფეროებშიც, მაგალითად, როგორიცაა ენობრივი ნიშნის არასაზოვანი ბუნების შესახებ, ნაშრომი „ფონეტიკური პროცესების ტელეოლოგიური გააზრებისათვის“, გამოკვლევა გალაკტიონის ბგერწერის შესახებ და სხვ.

ი. მელიქიშვილის სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მეცნიერი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო ლინგვისტიკურ კონგრესებსა და კონფერენციებში. მის პუბლიკაციებს იცნობდნენ ევროპაში. გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი წერდა: „პროფ. მელიქიშვილი იყო ერთ-ერთი მცირერიცხოვან ქართველ ლინგვისტთა შორის, რომლის პუბლიკაციებიც ცნობილი იყო დასავლეთში საბჭოთა პერიოდშიც კი და რომელსაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა ლინგვისტური ტიპოლოგიის თეორიის და ინდოევროპულ კვლევათა განვითარებაში“; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი კი ასე ახასიათებდა ი. მელიქიშვილის ღვაწლს: „წიგნი „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში“ (1976) უდავოდ იყო ნიშანსვეტი ამ სფეროში. ეს ნაშრომიც და ამავე თემატიკის მრავალი სხვა სტატიაც მნიშვნელოვანი წვლილი იყო ქართველურ ენათა ფონოლოგიური და ფონოტაქტური თვისებების სისტემატური ახსნის სფეროში. ამ უაღრესად სოლიდურმა შრომებმა საერთაშორისო აღიარებაც პოვა ფონოლოგიურ ტიპოლოგიასა და უნივერსალიების კვლევაში“.

იგი იყო არა ერთი და ორი საგრანტო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. ის იჩენდა როგორც მეცნიერების, ისე სწავლების ორგანიზაციის შესაშურ უნარს: მან შეადგინა სასწავლო პროგრამები „თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების“ სპეციალობისათვის თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებისთვის; ასევე შემოიღო ახალი სასწავლო კურსები.

ირინე მელიქიშვილმა, ფართოდ ერუდირებულმა, ჭეშმარიტად შემოქმედებითმა მეცნიერმა ახალი მიმართულებით გაამდიდრა ლინგვისტიკური ქართველოლოგიის საგანძური, ასევე, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თეორიული ენათმეცნიერების სფეროში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირინე მელიქიშვილი გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე ქალბატონი ბრძანდებოდა: ქვეყნის ერთგული მოქალაქე, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, იგი ქართველი დედის, შვილის, დედმამიშვილისა და მეუღლის უბადლო ნიმუში იყო.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სს „თბილისის მონოლითმშენი“ აცხადებს, რომ 2013 წლის 25 დეკემბერს, 17 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი №57-ში გაიმართება სააქციო საზოგადოების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2012 წლის შედეგები,
2. სხვადასხვა.

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 10 იანვარს, 15 საათზე შედგება ს/საზოგადოება ტრანსკავებსერვისი „ალავერდის“ საერთო კრება მისამართზე: რუსთაველის №48.

დღის წესრიგი:

1. 2013 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში. მომხსენებელი გენ. დირექტორი: ნ. გომურაშვილი;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევა.

ს/საზოგადოების დირექცია

მეუღლე ქეთევან თურქიაშვილი, შვილი ბადრი, ძმა ირაკლი, ბიძა ხვთისო არჩემაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ივანეს ძე არჩემაშვილი

დაკრძალვა 7 დეკემბერს, 13 სთ. დაბა თიანეთში.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

დაიჯესტი

ქანდაკება ძეგლის გვერდით

პოლონეთის ქალაქ გდანსკში, მეორე მსოფლიო ომში შეიარაღებაზე მყოფი ტანკის T-34-ის ძეგლის გვერდით, სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, 26 წლის ბოგდან შუმჩიკმა, 19 ოქტომბერს ღამით რუსი ჯარისკაცის ქანდაკება დადგა, რომელიც ფეხმძიმე პოლონელ ქალს იარაღის მუქარით აუპატიურებს.

მაგრამ, ქანდაკებამ ადგილზე მხოლოდ ერთი დღე დაჰყო, რის შემდეგ ქალაქის ხელისუფლებამ მისი აღების განკარგულება გასცა.

— ჩემი ნამუშევარი წითელი არმიის ისეთივე ისტორიაა, როგორც ტანკი T-34, — განუცხადა ბოგდან შუმჩუკმა ჟურნალისტებს. — ჩემი აზრით, ეს ქანდაკება ჩინებულად „ავსებს“ ტანკის ძეგლს. ეს იდეა დიდი ხნის წინათ დამებადა, თუმცა, მისი განხორციელება მხოლოდ ახლა მოვახერხე.

გდანსკის პროკურატურის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმე ბოგდან შუმჩუკის მიმართ არ აღუძრავთ, მას მხოლოდ ჯარიმა გამოუწერეს.

ზღვების ახალი დედოფალი

ლონდონის ფეშენებელურ კვარტალში მეიფეიერში არქიტექტორმა და დიზაინერმა ზახა ჰადიდმა დახურულ ჩვენებაზე თავისი „მომავლის იახტის“ პროექტი წარადგინა, რომელიც გერმანულმა გემთმშენებელმა კომპანიამ „ბლომ+ვოსმა“ დაუკვეთა.

იახტა ფანტასტიკური ცხოველის ჩონჩხს თუ უცხოპლანეტელთა ხომალდს ჰგავს, ამ იერს კი მას კორპუსის საყრდენი ობობის ქსელის მსგავსი მოწყობილობები აძლევს.

— ეს უაღრესად ნატიფი დიზაინისა და დიდებული ჩქაროსნული თვისებების მქონე გემია, რომელიც ზახა ჰადიმ და მისმა გუნდმა შექმნეს, რითაც იახტების მოდელირებაში ახალი სტანდარტი შემოიღეს,— აღფრთოვანებით ამბობს დამკვეთი კომპანიის გენერალური დირექტორი ჰერბერტ ალი.

მთლიანად ექვსი ასეთი სუპერიახტის აგებაა დაგეგმილი, მათ შორის ხუთი 90-მეტრიანი, ერთი კი 128-მეტრიანი „ზღვების დედოფალი“ იქნება, რომელიც უკვე „ჯაზად“ მონათლეს. მასზე რამდენიმე გემბანი, დახურული აუზი და კიდევ მრავალი ძვირიანი „რამე-რუმე“ იქნება. თუმცა, ესეც კია, რომ ინტერეიერის დიზაინს და ტექნიკურ აღჭურვას მომავალი მფლობელის სურვილისამებრ განახორციელებენ, მაგრამ მის სახელს ოფიციალურად არ ახმაურებენ ისევე, როგორც საიდუმლოდ ინახავენ ფასს. მიუხედავად ამისა, ლონდონის სალონებში უკვე დაირხა ჭორი, რომ მისი მფლობელი, სავარაუდოდ, რუსეთელი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი იქნება.

სასჯელი ლამაზმანებს

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა პოპ-შემსრულებელმა რიანამ არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქში აბუ-დაბიში შეიჭ ზაიდას მეჩეთში გამოჩენით დიდი სკანდალი გამოიწვია.

კონცერტის დაწყებამდე მან გადაწყვიტა ისლამურ კულტურას ზიარებოდა და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს მეჩეთს მიაშურა, სადაც შავ, ტანზე მოტმასნილ კომბინეზონში გამოწყობილი მივიდა. ყველაფერ სიკეთესთან ერთად ყველა მნახველისთვის ღია ტაძარში იგი უკანა შესასვლელიდან შევიდა და მუსლიმანთა წმინდა საღოცავის ფონზე ფოტოების გადაღება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ რიანამ ტრადიციის დაცვა სცადა და თავსაბურავი დაიხურა, ხელისუფლებამ მისი საქციელი გამომწვევად და რელიგიურ კანონთა დარღვევად ჩათვალა. ტაძრის ადმინისტრაციამ მომღერალი კომპლექსიდან გააძევა.

— სამოსელი სხეულს კი არ უფარავდა, არამედ უფრო მეტადაც აშიშვლებდა, — განაცხადეს მეჩეთის მსახურებმა. — მისი პოზები კი აშკარად უადგილო იყო.

თუმცა, ამან რიანა სულაც არ დააბნია და გადაღებული ფოტოები მალევე ინტერნეტში განათავსა.

სხვათა შორის, მეორე ისლამური წმინდა ადგილის ტაჯ-მაჰალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების გამო ინდოეთის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა „მის სამყარო — 2012“-ის გამარჯვებულის, 21 წლის ოლივია კალპოს მიმართ. ლამაზმანმა ფეხსაცმლის სარეკლამო ფოტოები საყდრის ფონზე გადაიღო. კონკურსის ადმინისტრაციამ ამის გამო საჯაროდ ბოდიში მოიხადა, მიუხედავად ამისა, ამერიკელ ქალიშვილს სასამართლო და დიდი ჯარიმა ემუქრება.

ძმანი ჩვენი უმცროსნი

დარვინს თუ ვენდობით, მაიმუნები ჩვენი შორეული წინაპრები არ არიან. მაშ, რატომაა, რომ ადამიანები მათთან ისე არ მეგობრობენ, როგორც ძაღლებთან და კატებთან?

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მაიმუნები შინაური ცხოველები არ არიან, ადამიანებთან მათი მეგობრული ურთიერთობების მაგალითები მრავალია. მაგალითად, ფლორიდის იშვიათ და გადაშენების პირას მდგარი სახეობების ინსტიტუტში პატარა გოგონამ ემილი ბლანდმა პატარა მდედრი ორანგუტანგი რიში ჯერ კიდევ 2008 წელს გაიცნო. მაშინ ისინი თანატოლები იყვნენ და მას შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ემილი მაიმუნს ეტლით ასეირნებდა, მასთან ერთად აუზში ბანაობდა. ახლა ისინი ექვსი წლისანი არიან და ერთად ველარ ერთობიან, რადგან მაიმუნები ადამიანებზე უფრო სწრაფად იზრდებიან.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონ-ვაზელეთანი

თურქმენული ბენზინი 1,75 ლარი ეღირება

საქართველოს ბაზარი თურქმენული საწვავის მისაღებად მზადაა. „რეზონანსის“ ინფორმაციით, რამდენიმე კომპანია თურქმენეთთან მოლაპარაკებას უკვე მართავს. საცალო ქსელში თურქმენული ბენზინის ღირებულება 1,75 -1,78 ლარის ფარგლებში იქნება. საწვავი კერძო კომპანიებმა უნდა შემოიტანონ, როგორც ამბობენ, აზერბაიჯანი მზად არის, თურქმენული საწვავი გამოატაროს!

„რეზონანსი“

დიდი ღალატი კოალიციაში!

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობასა და მუნიციპალიტეტების კიდევ უფრო დაშლაზე. კანონპროექტი უკვე შეტანილია პარლამენტში და კულუარებში მიმდინარეობს განხილვა. კულუარებში, რადგან ამ კანონპროექტის მიღება მხოლოდ „რესპუბლიკელებსა“ და „ნაციონალებს“ აწყობთ, ანუ ისინი დაძვრებიან კომიტეტიდან კომიტეტში და ცდილობენ, დეპუტატები დაიყოლიონ. მეტიც, ეს არის კანონპროექტი, რომელიც მომზადებულია ახალი მთავრობისა და პირადად, პრემიერ ღარიბაშვილის წინააღმეგ. სამწუხაროა, რომ ამ „შეთქმულებაში“ რამდენიმე მინისტრიც არის გახვეული და ნებით თუ უნებლიედ, „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

„ალია“

„ნუ გვაიძულებთ, დამნაშავეები ჩვენ თვითონ გავასამართლოთ“

2011 წლის 26 მაისის სისხლიანი ოპერაცია ბოლო წვეთი იყო, რამაც ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა გადააწყვეტინა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ მეოცნებეები ამ ვანდალიზმს სათანადოდ გამოიძიებდნენ, მაგრამ, ჯერჯერობით, არაფერი ხდება. „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი შალვა ოგბაიძე, ბევრ რამეს ჰფენს ნათელს, მაგალითად, ამბობს, რა ბრძანება იყო გაცემული 6 მაისის ღამეს, რატომ დაიბარა ის მერაბიშვილმა, რატომ ჯანჯლდება 26 მაისის დარბევის გამოძიება, რას ნიშანვს დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია, მოუწევს თუ არა ხალხს, რომ თვითონ აღადგინონ სამართალი... თუმცა, მაინც მაქვს ამ ხელისუფლების იმედი, — ამბობს შალვა ოგბაიძე.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მიხო, საყვარელო, რა ჩამომიტანე? — ეფერება მარო სანატორიუმიდან დაბრუნებულ ქმარს.

— რა და, დეფიციტი.

— როგორი?

— იმუნური.

* * *

გინდათ, რომ გაიგოთ, ძაღლს უფრო უყვარხართ თუ შეყვარებულს? ამის გაკეთება იოლია:

ჩაკეტეთ ისინი კარადაში და ნახევარი საათი არ გამოუშვათ.

მერე გააღეთ და ნახავთ, ვის უფრო გაუხარდება თქვენი დანახვა.

* * *

ძმაკაცებმა გადაწყვიტეს მიხო გაეშაყირებინათ და ჰკითხეს, ერთი კილოგრამი რკინა უფრო მძიმეა, თუ ერთი კილოგრამი ბამბაო?

— რა სულელური კითხვაა, რა თქმა უნდა, კილოგრამი რკინა!

— არ არის სწორი, ორივე თანაბარია.

— ასე არა? მაშინ ჯერ ერთ კილო რკინას ჩაგცხებთ მაგ გოგრაში, მერე კი ერთი კილო ბამბას და ნახავთ, თუ თანაბარია!!!

* * *

— ასე ძალიანაც ნუ ინერვიულებთ, — ანუგეშებს ექიმი ტრანსპანტოლოგ პაციენტს. — ცოტაც მოითმინეთ, ახალ წლამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი! ხალხი გამოტყვრება, მანქანით თუ ფეხით ავარიაში მოხვდება და უამრავი დაიღუპება! ასე რომ, თქვენც შეგხვდებათ თირკმელი!

* * *

— რა არის ბედნიერება და რა — უბედურება? — ეკითხებიან ტიპს.

— ბედნიერებაა, როდესაც დილით სიხარულით მიდიხარ სამსახურში, საღამოთი კი ისევე სიხარულით ბრუნდები სახლში, ხოლო უბედურებაა ის, როდესაც საღამოთი სიამოვნებით მიდიხარ სამსახურიდან, დილით კი სიხარულით ტოვებ სახლს.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24